ხუთშაბათი, 1918 წ. ენკენისთვის 26 № 178
ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი 1918 წ. ენკენისთვის 26 № 178
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსახელო წერილები არ მიიღება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდე, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო".

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ერთი თვით—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მცხოვრებთა განცხადების ფასი ორმაგი. სამგლოვიარო განცხადება 20 მანეთი. განცხადებანი გამოქვეყნდება თანხის წინდაწინ შემოტანისთანავე. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საზღვარგარეთ განცხადებები უნდა იქნას მიღებული მხოლოდ ამ ... თისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ოსმალოებმა ბაქოში დახვრიტეს სტეფან შაუმიანი;—ჯაფარიძე დაჭერილია და თბილისში იგზავნება.

მთავრობის განკარგულებით დატუსაღებულია გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი.

დასავლეთ ასპარეზზე გენერალ ფოშმა შეაჩერა იერიშები.—ახალი ბრძოლის პირი მიბჯენილია ჰინდენბურგის ხაზზე.

მაკედონიის ფრონტზე ბულგარებმა და გერმანელებმა შეაჩერეს ინგლისელ-ფრანგებისა და სერბიელების იერიშები.

დავით ალექსის ძე და პელაგია მიხეილის ასული დავითაშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართა, რომ პარასკევს—ჯვართამაღლებას, 27 ამა ენკენისთვეს მარად დაუვიწყარ შვილის

**კოტე (კოტიკო) დავითაშვილის**

მოსახსენებლად გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში.

დასაწყისი წირვისა 10 საათი, პანაშვიდისა 12 საათი.

1—1780—1

ნოე სიმონის ძე და ეკატერინე სოფრომის ასული ძიძიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხვალ 13 ენკენისთვეს იქნება გადახდილი 40 დღის პანაშვიდი პირველის დედის მეორესი დედამთილისა

**ცაცონი**

სოფ. უჩხუბში წმ. სტეფანეს ეკკლესიაში. 1—1

**ახალი მწ ფო თ ატრი**

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ა. ლ. ...

ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს, დაიდგმის

**ცარსკაია ნევესტა**

ოპერა ოთხ მოქმედებად, მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა,

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკისა, სპიტკო, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ფირსოვა, ზასლავსკისა, ბ.ბ. ბერეზინი, მოლჩანოვი, პოლიაევი, ნიკოლსკი, საბინინი.

დირიჟორი **ჩერეპნინი.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე, ხოლო საღამოთი 6-დან სპექტაკლის დამთავრებამდე.

პარასკევს—27 ენკენისთვეს—„პიკოვაია დამა". 28—„ევგენი ონეგინი". 29—„ფაუსტი". 1—1011—1

ქართულ-გერმანულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 29 ენკენისთვეს, ფრეილინის ქ. № 11 დილის სრულს 12 ნახევ. ს. გაიმართება

**საჯარო ლექციები**

1) არტ. ლაისტის: ქართული პოეზია.
2) ჰაინ: ქართული ლექსები გერმანულ თარგმანში.

რადგან ლექციები დაიწყება სწორეთ 12 ნახ. საათ. ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, სრულს 12 ნახ. საათზე მობრძანდენ დარბაზში. 4—1

## საქართველო

ყოველდღიური ორგანო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, გამოდის

**გერონტი ქიქოძის რედაქტორობით**

და

შალვა ამირეჯიბის, ალექსანდრე ასათიანის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, პავლე ინგოროყვას, სპირიდონ კედიას, დავით კასრაძის, ტიტე მარგველაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, პეტრე სურგულაძის, ტიციან ტაბიძის და ლელი ჯაფარიძის უახლოესი თანამშრომლობით.

გაზეთის ფასი: პირველი ლვინობისთვიდან წლის დამლევამდე 25 მანეთი. თვიურად 10 მანეთი. ცალკე ნომერი თბილისსა და პროვინციაში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

## ეროვნულ უმცირესობის მოწვევის კანონი და ენის საკითხი

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობის კანონი უფლებას აძლევს საქართველოს არა-ქართველ მოქალაქეთ იყოლიონ ეროვნულ საბჭოში დეპუტატები თანახმად კანონში აღნიშნული რიცხვისა. ამ კანონის გამოცემას და მით სარგებლობას უდიდესი მნიშვნელობას აქვს აწინდელს პოლიტიკურ პირობებში, რადგანაც სახელმწიფოს აღმშენებლობითი პროცესსი აუცილებლად საჭიროებს პირველ ყოვლისა შეთანხმებულსა და მწყობრ მუშაობას საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ყველა პატიოსანი და სახელმწიფოსადმი ერთგულ ელემენტებისას.

აღნიშნული კანონი საქართველოს პარლამენტმა მიიღო მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს მცხოვრებთათვის განურჩევლად ეროვნებისა მიეცა სრული შეძლება და საშუალება ჩაჰბმოდნენ სახელმწიფოებრივ ორგანიულ მუშაობას საკანონმდებლო დაწესებულებაში და ამით გაეადვილებინათ მეტის-მეტი სირთულე და სიძნელე სახელმწიფოს შენების პირვანდელ ხანაში. დემოკრატიული, ნამდვილი ხალხთმართველობის პრინციპი, საქართველოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აპარატს რომ ასულდგმულებს და ამოძრავებს, ავალებდა ჩვენს ეროვნულ საბჭოს მოეხმო საპასუხისმგებლო სახელმწიფო მუშაობისათვის საქართველოს ყველა ერის მოქალაქეთა უმჯობესი ძალები, რათა საერთო თანხმობითი მოქმედებით გამოინახოს სწორი და უტყუარი გზა მონობისაგან თავდახწეულ საქართველოს დაუბრკოლებლივ განვითარებისათვის.

მაშასადამე, კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებით შევსებისა შესწორებს საკანონმდებლო დაწესებულების დეფექტს და საქართველოს ხალხს მისცემს სრულს შეძლებას მიიღოს შეძლებისა და ნიჭის გვარად მონაწილეობა სახელმწიფოებრივ შემოქმედების პროცესში.

ასე ესმის ქართველ ხალხს დედააზრი და დანიშნულება გამოქვეყნებულ კანონისა.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მოკალათებულ მრავალრიცხოვან მტრებს ეს კანონიც ეჩვენებათ არა ქართველთა წინააღმდეგ მიმართულად. ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ უდიდესი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ რუსობისა და უმთავრესად ის ნაწილი, რომელთა პირად კეთილდღეობას ასე თუ ისე ეხებოდა რესპუბლიკის მთავრობის კანონიერი განკარგულებანი, მეტად განრისხებულია ჩვენს სახელმწიფოზე და აფექტაციით შეპყრობილნი ყოველივე საშუალებას მიჰმართავენ ჩვენი სახელმწიფოს მმართველობის პრესტიჟის დასაცემად. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა ბანაკი სრულიად გაერთიანებულია: სოციალისტები, არა-სოციალისტები, ლიბერალები, აგრარიები, სამღვდელოება და შავრაზმელები მწყობრ იერიშებით მოიწევენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთის მიზნით, რომ დაუნდობლად წალეკონ ჩვენი სახელმწიფოებრივი თვითმყოფობა და აღადგინონ „დიდი და განუყოფელი" რუსეთის მპყრობელობა.

ბოლო დროს „კრიტიკული" მიმართულება გაძლიერდა მათ შორის, ვინც რწმენით, ტრადიციით და წარსულში სოლიდარულ მუშაობით უფრო ენათესავება ჩვენს პირველს სოციალისტურს მთავრობას. სახეში მაქვს რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" თავმოყრილი უკმაყოფილო წრე, რომელთა წინააღმდეგ მთავრობის პრესსა ჯერხნობით თეორიულ დისკუსიებს აწარმოებს, ხოლო მთავრობა ჰქმნის გაუგებარ შეღავათიან პირობებს, რაც ვფიქრობ, ოდნავაც არ უწყობს ხელს რესპუბლიკის მდგომარეობის განმტკიცებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, „სოციალ-დემოკრატმა" გამოილაშქრა ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლების მოწვევის კანონის წინააღმდეგ და წარმოსთქვა „წმინდა რუსული" აზრები! პირველ ყოვლისა, გაზეთი მეტის მეტად ნაწყენია იმ რიცხვით, რომელიც ნავარაუდევია სხვა და სხვა ერის წარმომადგენლობისათვის. „სოციალ-დემოკრატი" ცდილობს არითმეტიკულად და სტატისტიკურად „დამტკიცოს", რომ ერთა წარმომადგენლობა და განსაკუთრებით რუსებისა (გაზეთი უმეტესად უკანასკნელებზე დაობს, რადგანაც მათი რიცხვი ყველაზე ძლიერ გაუდიდებია „მეცნიერული" სტატისტიკის მიხედვით) ნაკლებად არის წარმოდგენილი, რაიც არ შეეფერება, გაზეთის აზრით, რეალ პირობებს. ეროვნულ საბჭოს სამანდატო კომისიას, ალბად, სხვა ცნობები აქვს საქართველოს საზღვრებში ერთა მოსახლეობაზე და ეს ცნობები, საფიქრებელია, უფრო დასაჯერებელია, ვიდრე „კავკაზსკი კალენდარ"-ის მეცნიერება...

ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ „სოციალ-დემოკრატს" სრული იმედი აქვს, რომ ეროვნულ უმცირესობის შევსების შემდგომ ეროვნულ საბჭოში სავალდებულო ენად ჩაითვლება... რუსული ენა! რომელმა ღრმა სახელმწიფოებრივმა, ან საერთაშორისო მოსაზრებამ წარმოათქმევინა სოციალისტურ გაზეთს ეს „სიბრძნე"? ამოცანას ამოიკითხავთ იმავე წერილში, სადაც გაზეთი დაბეჯითებით „ამტკიცებს" დაყოფილ ამიერ-კავკასიის ერთეულების უნიადაგობას და ამის გამო მათ ახლო მომავალში ხელახლად შეუღლებას, ან უნიტარული სახელმწიფოს სახით, ან კონფედერატიულად. რასაკვირველია, მომავალ სახელმწიფოში აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გაზეთის აზრით, უნდა ხდებოდეს რუსულს ენაზე, ეს გარემოება-კი უეჭველად რუსეთის გამთელების წინამორბედი იქნება და ამრიგად დასახული მიზანი თანდათანობით განხორციელდება.

ეროვნულ საბჭოს არ გამოუტანია დადგენილება სავალდებულო ენაზე საბჭოს ეროვნულ უმცირესობის შევსების გამო; ეს საკითხი ჯერ სათანადო კომისიების საქმის წარმოებაშია, მაგრამ, რასაკვირველია, ენის საკითხი, „სოციალ-დემოკრატი"-ის თანამოაზრეთა სასარგებლოდ არ გადაწყდება. საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი უცილობლივ მოითხოვს სახელმწიფო ენის პრეროგატივას რესპუბლიკის დაწესებულებათა ყველა დარგში, უმეტესად უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში. ენა რომ იყოს როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, მხოლოდ საშუალება ურთიერთ აზრთა შესმენისა და გაგებისა, მაშინ სირთულე მოაკლდებოდა სახელმწიფოს დაწესებულებებში ამა თუ იმ ენის ხმარების საკითხს, მაგრამ ენის საკითხთან მტკიცედ შეკავშირებულია საზოგადოთ სახელმწიფოსა და ერის კულტურის საკითხი, ამიტომ გაუგებარი იქნებოდა, მეტი რომ არა ვთქვათ, საქართველოს პარლამენტში უცხო სახელმწიფო ენის ხმარება.

ჩვენ აღარას ვიტყვით ყველა იმ ტეხნიკურ დაბრკოლებაზე, რომელიც თან მოჰყვებოდა რუსული ენის შემოღებას ეროვნულ საბჭოში. ამ ენის ხმარებას დაიცავს მხოლოდ ის, ვინც მოწადინებულია რამენაირად შეაფერხოს საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობა!

საქართველო უნიტარული სახელმწიფოა, სადაც „სახელმწიფოებრივი თვისებანი და ატრიბუტები" მიკუთვნილი აქვს ქართულ ენას.

ჩვენს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობისაგან წარმოგზავნილი დეპუტატი ვალდებულია იცოდეს სახელმწიფოს ენა; ეს მოთხოვნილება ეჭვს არავისში უნდა ჰბადებდეს, ვინაიდგან იგი გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესების სწორ შეთვისებიდან. საქართველოს სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოკლე ხნიდაც ვერ დაადგება საკომპრომისო გზას, მით უმეტეს უიმედოა „სოციალ-დემოკრატის" ოცნება, რომ საქართველოს უმაღლეს დაწესებულებაში ხანგრძლივად შესაძლებელი იყოს უცხო ენის შემოღება.

რ. ინგილო.

## ათასობით დანაშაული, არც ერთი გასამართლება

ყოველ მხრივ დღეს საქართველო არაჩვეულებრივ პირობებში ცხოვრობს. მისი სახელმწიფოებრივი სახე ჯერ-ჯერობით სავსებით არ ჩამოყალიბებულა და ამიტომ ბევრ დარგში სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა მრავალია ნაკლი, შეცდომა ნებსითი თუ უნებლიეთი და ხშირად სახელმწიფოებრივ ინტერესის პირდაპირ ღალატიც. მაგრამ ადამიანი, რომელსაც სამშობლოსთვის მართლა გული შესტკივა, იმედს არ კარგავს, ფიქრობს—გამოსწორდება სახელმწიფოებრივი საქმეები და მთელი ცხოვრებაც წესიერ კალაპოტში ჩადგებაო. ხოლო ჩვენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას თავიდან დაჰყვა ერთი ისეთი მოვლენა, რომელიც მეტად ჩამაფიქრებელია და თუ მას დროზე შესაფერი, რადიკალური წამალი არ გამოუძებნეთ, ვინ იცის, რა განსაცდელი მოგველის. ეს მოვლენა ზნეობრივი ხასიათისაა და ჩვენდა სამწუხაროდ არც ისე ახალი. ერთი რუსის ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს, რუსის ჯარს საქართველოსკენ მიმავალს წინ უძღოდა ოქროთ დატვირთული ჯორებიო. მაშ ფულის გულისთვის ღალატი, მექრთამეობა და მცარცველობა წინედაც გვჩვევია. რუსის შემოსვლამ ხომ კიდევ უფრო განამტკიცა ეს თვისება, ვინაიდან რუსეთში ფართო საზოგადოებრივ შეგნებაში სახელმწიფო ქონების ამა თუ იმ სახით გატაცება ავკაცობათაც არ ითვლებოდა. მართლაც, ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იყო ის ზღაპრული მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების ტაციობა, რომელიც რუსის სახელმწიფოში სწარმოებდა. ამ საზოგადოებრივ ზნეობრივ საგძალით ქართველები შევუდექით საკუთარ სახელმწიფოებრივ განახლებას.

და აი სწორედ [illegible] გაშალა საოცარმა უტიფრობამ, წრეს გადასულმა ზნეობრივმა გათახსირებამ. ყოველ ეჭვს გარეშეა, ბევრ დარგში, როგორც, მაგ., რკინის გზა, სწარმოებს სისტემატიური წვრილი ქურდობა, უბილეთოდ ხალხის ტარებით თუ სხვა სახით. მას ზედ ერთვის მსხვილი მტაცებლობა. დღე არ გავა ისე, რომ თითო შემაძრწუნებელი ამბავი არ მოგვიტანოს. ცილისწამება იქნება ვსთქვათ, რომ ეს ამბები ხალხს არ აღელვებდეს. ხალხი მოულოდნელად ელის დამნაშავეთა გასამართლებას. მაგრამ რაღაცა საიდუმლოების გამო მთავრობა სდუმს. სდუმს და ეს დუმილი კიდევ უფრო ამხნევებს ბოროტ-გამზრახველთ, ხოლო დამნაშავეთა დაუსჯელობა აშინებს ისედაც საკმაოდ დაჩლუნგებულ ხალხის სინდისს. ჩვენ თვალწინ გადასწვეს, რამდენი ხანია, სადგურთან არა ერთი მილიონის ქონება, გურიაში გაიტაცეს ფოჩტა, მთელი ხალხი ფეხზე დადგა, ბრალდებულნი შეიპყრო, სამართალი კი არსად სჩანს. მელიქ-აზარიანცის სახლში მთელი შეიარაღებული შეთქმულობა აღმოჩნდა, ბიხოვის ლიტოგრაფიაში, გოლოვინის პროსპექტზე, მთელი თბილისის თვალწინ ბონები იბეჭდებოდა, მაგრამ ერთი და ორი ფაქტი ხომ არ არის, რომ ყველანი ჩამოვთვალოთ. უბედურობა სწორედ ის არის, რომ ეს ფაქტები დღითი დღე მრავლდებიან და მასთან ავაზაკთა თავხედობაც მატულობს, როგორც ეს არის, მაგ. შუა ქალაქში სასტუმრო „ფლორიდაზე" დაცემა, ეროვნულ საბჭოს გაქურდვა, ფულის სამზადებელ ექსპედიციის გაცარცვა. სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენში. ჩვენი არსებობის მტრებმა საოცარი ხმაურობა ასტეხეს—აი შეხედეთ, როგორ გარეაქციონერდენ ქართველებიო. ხოლო ყველა გულწრფელ მომხრეს ჩვენი სახელმწიფოებრივობისა გაუხარდა, იმედი მიეცა მთავრობის მტკიცე მოქმედებისა. მაგრამ შედეგად რა მივიღეთ. არამც თუ სიკვდილით დასჯა დამნაშავეთა, უბრალოდ დასჯასაც ვერ ვხედავთ. სატუსაღოები საქეიფო ადგილებადაა გადაქცეული და ხალხში ისეთი ხმებიც დადის, თითქოს ზოგიერთ დამნაშავეს ცოტა ხანს დააყოვნებენ ციხეში და მერე სამშვიდობოს ისტუმრებენო. შეიძლება, ეს ტყუილი იყოს, მაგრამ რომ გასამართლებული ვერავინ ვნახეთ, ეს სრული სიმართლეა.

სასამართლოს მოქმედების შეწყვეტა უეჭველად მძიმედ მოქმედებს მთელ ხალხზე, ის ამხნევებს ბოროტგამზრახველთ, იმედს უკარგავს პატიოსან მოქალაქეს სახელმწიფოს ძალაში. სამართალი ერთი დიდი სახალხო სკოლაა, რომელიც ხალხის სინიდისს მუდმივ აღვიძებს. და სწორედ ეს შესანიშნავი საზოგადოებრივი დაწესებულება მიძინებულია. ჩვენ მინისტრებს ენა-წყლიანობა მეტად სჩვევიათ, დარწმუნებული ვარ, ეხლაც თავს ადვილად იმართლებენ, მაგრამ არსებითად თავის გასამართლებელი არავის აქვს. პროცესიალური მხრით ყველა ის ბოროტმოქმედებანი, რომელთაც ჩვენში ადგილი აქვთ, საოცრად მარტივი საქმეებია და მათი გამოძიებაც მეტად ცოტა დროს მოითხოვს.

ბ-ნნო ხელმძღვანელებო! მეტი თავდადება, მეტი მოქმედება, მეტი გაბედულება თქვენი მხრით. თქვენ იკისრეთ მეტად მძიმე საქმე და მჩატეთ ნუ შეხედავთ მას. საზოგადოებრივი სენი სათავეშივე მოსპეთ, თორემ წავილეკებით, დავიღუპებით. განსაკუთრებულ დროს ვცხოვრობთ, შორს უსაქმოთა სანტიმენტალიზმი, სწრაფი და სასტიკი სასჯელი დამნაშავეთ—აი რას მოვითხოვთ თქვენგან. ეს უნდა შეასრულოთ ფიცხლავ და ამით შეასრულოთ თქვენი მძიმე მოვალეობა.

პ. სურგულაძე.

## პირველი დარბაზობა

პარტიის ინტერესმა მოითხოვა, ივლისის პარტიულ კონფერენციას დაედგინა ჩვენი საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაცია. ამ დადგენილების განაღდებამ უწინარეს ყოვლისა ავნო ბ.ბ. მიხ. მაჩაბელსა და დავ. ვაჩნაძეს. ესენი არ დაემორჩილნენ პარტიის მთავარ კომიტეტის დადგენილებას და ხასიათის შესაფერისად დაინახეს coup

de théâtre-ის მოწყობა. მოხალისენიც გაიჩინეს. რომ წარმოდგენა სრული ყოფილიყოს, „პუბლიკა" იყო საჭირო და ისინიც ამის ძებნას ენერგიულად შეუდგნენ. უკვე დაკარგული იყო ყოველგვარი იმედი, რომ მთავარი კომიტეტი ხელს აიღებდა, ან შეაყენებდა პარტიის განწმენდისა და ფრაქციის რეორგანიზაციის საქმეს. გამოირკვა, რომ ამიერიდან ეროვნულ-დემოკრატიული ოჯახი მათ მასპინძლობას ვერ გაუწევდა. განშორება აუცილებელი შეიქმნა და დამოუკიდებელი ოჯახის გაჩენა საკუთარი პოლიტიკური არსებობის მორიგ საკითხად გადაიქცა. „დამფუძნებელი" კრება გაიმართა ერთ-ერთ დისიდენტის ბინაზე, დიდგვარის მემამულე თავადების საზოგადოებაში. პირველი საპროგრამო და სატაქტიკო სიტყვები აქ წარმოითქვა. მოხდა მაჩაბელ-ვაჩნაძის დამოუკიდებელი პოლიტიკური ოჯახის ნათლობა. ნათლიათ გამოვიდა წოდებით გლეხი. (ამას ალბათ ტაქტიკის სიბრძნე მოითხოვდა). მათი ცენტრალი კომიტეტის ემბრიონიც ჩაისახა.

მირონით შეკრული და შენათესავებული ჯგუფი საჯარო გამარჯვების სადღესასწაულოთ დაირაზმა. უნდა დაენახვებიათ ქვეყნისთვის რომ მათ ზურგს უკან „ხალხი" სდგას. იმ ხანობას თბილისში ეწყობოდა მიწის მესაკუთრეთა კავშირი. არსებითად, ეს იმ მემამულეთა ორგანიზაციაა, რომელნიც ემზადებიან პოლიტიკურ გამოსვლისთვის. ამ ჩვენს დამოუკიდებელ ჯგუფს, იმავე თვითშობილ „ცენტრალურ კომიტეტს", მისი იდეოლოგიური რწმენა და ნათესაობა აქეთკენ მიაქანებს. ჯგუფიც ემზადება არჩევნებისთვის და თავის სიას იმუშავებს. წინასწარ კრებაზე საკანდიდატო სიის გადარჩევის დროს უარყოფილი იქმნა კანდიდატურა ბ-ნ მაჩაბლისა და მის ანტურაჟისა. ამგვარად, ბრწყინვალე გამარჯვების ნაცვლად, ბრწყინვალე მარცხი მოუვიდა „დამოუკიდებელ" ჯგუფს. ასეთი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ, კაბინეტის გადადგომა იყო მოსალოდნელი, მაგრამ გულადობა სწორედ აქ იყო საჭირო და უსიამოვნებაც აიტანეს.

ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტის ნაბიჯმა, ამგვარად, ეს ხალხი გაანთავისუფლა იდეოლოგიურ კომპრომისის ტყვეობისაგან და რაღაი ერთხელ თავი დამოუკიდებლად იგრძნეს იარეს და სრულიად ბუნებრივად თავად-აზნაურობის მემამულეთა წრეს მიადგნენ. აქ მათ შეეძლებათ თავიანთი ნიჭის და მოქმედების გაშლა, და სრულიად უკომპრომისოდ საკუთარი გულისთქმისა და რწმენის გამოთქმა. ჩვენ ამას სიამოვნებით ვეგებებით და შევეცდებით ხელი შევუწყოთ მათი „დამოუკიდებელი" პოლიტიკური სხეულის ჩამოყალიბებას. ამით მეტი დაწყობილობა შემოვა საქართველოს პოლიტიკურ პარტიულ შენობაში და უფრო ნათლად დაუპირდაპირდებიან ერთმანეთს სხვა და სხვა ინტერესები. ბრძოლა და მოქმედებაც უფრო სწორ-შეზომილიც დადგება. ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, საწყენია ამ ჯგუფის პირველი მარცხი თავის სულიერ ნათესავთა წრეში, თვისივე საკუთარ ოჯახში. ეს იმას გვიმტკიცებს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში არა კმარა მარტო იდეოლოგიური ერთნაირობა და პრინციპების თანხმობა. აქ უმთავრეს როლს თამაშობს პირადი ნდობის საკითხი. ნდობას კიდევ ჰქმნის არა მარტო იდეოლოგიური მხარე ადამიანისა, არამედ მთელი მისი ხასიათების კომპლექტი. ამ დამოუკიდებელი ჯგუფის, ან უკეთ მის ზოგიერთ წევრის ხასიათების კომპლექტში მის თანამოაზრეთ მიუღებელი ხაზები უფრო დაუნახავთ და ეს არის მიზეზი მათი დამარცხებისა. შესაძლებელია ამ ჯგუფსაც კიდევ თავის გაწმენდა დასჭირდეს, რომ მოიპოვოს ხსენებული მემამულეთა ორგანიზაციის ნდობა. რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესია.

ხ. კ.

## მთავრობის წრეებში

გზათა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 10 მილიონიან ფონდიდან გზათა მინისტრს მიეცეს 5000 მანეთი სამხედრო რკინის გზების სამმართველოს საქმეების და არქივის მისაღებად და გამოზიდვის ხარჯების დასაფარავად.

—

დაადგინეს, გერმანიის დელეგაციას მიეყიდოს საჯარო ვაჭრობის გარეშე 100 ცალი შინი, დანარჩენი მოთხოვნილი შინები კი საჯარო ვაჭრობის წესით.

—

10-მილიონიან ფონდიდან მიეცეს ოჩემჩირის მახლობლად ნავის დაღუპვის დროს დაშავებულ არქიპოვს და პოპოვს წამლობისთვის თითოს 2000 მან.

—

სალიკვიდაციო შტატების შესანახად გარდა უკვე გაღებულ ხარჯებისა გზათა მიმოსვლის მინისტრს გაეხსნა 28000 მანეთის კრედიტი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნას 5287 მან. და 8 კაპეიკის კრედიტი გაზ. „კავკაზის" რედაქციის თანამშრომლების და კონტორის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ლიკვიდაციის გამო.

—

ქ. თბილისში ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად 200,000 მანეთის მიცემაზე უარი სთქვეს.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა თბილისის საპყრობილეთა გარეგან და შინაგან დარაჯთა მომატებულ ჯამაგირებისათვის 200,216 მან და 68 კ. მიცემის საკითხი გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის.

—

დაადგინეს: 1) მიეცეს თბილისის თვითმართველობას სესხად მილიციის ხარჯების გასასტუმრებლად 1,000,000 მანეთი იმ პირობით, რომ თუ ეროვნული საბჭო დაადგენს, რომ მთავრობამ იკისროს თბილისის მილიციის შესანახი ხარჯების ნაწილი, ეს თანხა გადაირიცხოს ამ დახმარების დასაფარავად; ხოლო თუ ეროვნულ საბჭომ ეს წინადადება უარჰყო, იმ შემთხვევაში ეს თანხა ჩაეთვალოს სესხად ქალაქს სამი წლის ვადით 5 პროცენტიან სარგებლით.

2) მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოსთხოვოს ქალაქს სათანადო დოკუმენტები და წარმოადგინოს შესაფერი კანონ-პროექტი ეროვნულ საბჭოსთვის მოსახსენებლად.

# ეროვნული საბჭო

## წერილები პარლამენტიდან

I

ეროვნულ საბჭოს გუშინდელი სხდომა განსაკუთრებული იყო სხვა სხდომათა შორის: პირველად საბჭოს დაარსებიდან ერთხმად იქმნა მოწონებული მთავრობისადმი შეკითხვა და ეს პირველი მაგალითი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პირველსავე შეკითხვას ხვდა წილად.

მაგრამ შეკითხვის საგანი იყო ისეთი საკითხი, რომელსაც არ შეეძლო არ გაეერთიანებია ყველა ფრაქციები: საქმე ეხებოდა ჩვენი სუვერენიტეტის შებღალვას და ამ საკითხმა თვით უკიდურეს რევაზ გაბაშვილსაც კი ხელი ააწევია მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების დროს.

ესევე არ იყო მეორე შეკითხვის დროს და შეუძლებელია რომ ყოფილიყოს.

ა. ახმეტელის მიერ აღძრულ საკითხით გამომჟღავნდა მთელი უნიათობა იმ სამინისტროსი, რომელიც დღეს სასურსათო საქმეს უდგია სათავეში.

და ამ უნიათობის დამტკიცებაში ინტერპელანტზედ უფრო მეტყველი თვით მინისტრი გამოდგა.

ორ გრძელ სიტყვაში, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა, მისი პასუხები საბჭოს წევრთა რეპლიკებზედ იყო მხოლოდ ორი სიტყვა:

„ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით".

„თუ თქვენ იცით გაგვაგებიეთ".

მაგრამ რა არ იცოდა ამ მინისტრმა?

რამდენს იღებენ დღეს რუსულ „ასიგნოვკების" დახურდავებაში, ან რას ფასობს შაქარი აზერბეიჯანში, ან და რამდენია ეს შაქარი საქართველოდან გატანილი!

არ იცოდა ეს მინისტრმა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ამის ცოდნა.

ერთს ბარათში, რომელიც ბატონმა მინისტრმა ტრიბუნიდან წაიკითხა, მას იხსენებენ:

ბატონ ვეზირათ!

თუმც უფალმა მინისტრმა თავის დეკლარაციებისთვის ქართული ჩოხა შეიყვარა საექიმო ნიშნით, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დარბაისელ ქართველ ვეზირზედ უფრო, ის სპარსელ ვეზირს მოგვაგონებს, რომლისთვის საქმის ცოდნა არას დროს სავალდებულო არ არის!

თუმც განირჩევნებულ სპარსელის განსხვავებით, მას საკმაოთ მწვავე ტემპერამენტი აქვს!

ლორთქიფანიძის დაცვა ნოე ჟორდანიამ იკისრა და ეს დაცვა უთუოდ საჭირო იყო, რადგან მინისტრმა თავის დასაცავად საუკეთესო არგუმენტათ თავისი უბიწოების მტკიცება ირჩია, რაშიც, მე დარწმუნებული ვარ, არც ერთს საბჭოს წევრს ეჭვი არ შეპარვია.

მაგრამ რა სთქვა თვით ნოე ჟორდანიამ?

სასურსათო სამინისტროს დაუდევს 12 ხელშეკრულება და ამ 12 ხელშეკრულებაში, მხოლოთ ერთი აღმოჩნდა წესიერი და დანარჩენი 11 კი უაღრესათ საზარალო სახელმწიფოსათვის.

მინისტრის ამხანაგი გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან.

მთელს სამინისტროსთვის დაინიშნა სასტიკი რევიზია.

თუ ეს არის მინისტრის დაცვა, იმ მინისტრის, რომელმაც ასეთს სამინისტროზედ ბრძანა, რომ იქ ყველაფერი წესიერათ არის დაყენებული, რაღა უნდა გამოიწვიოს მაშინ, შეცდომათა გულწრფელი აღიარება!

ყოველ შემთხვევაში ნოე ჟორდანიას განცხადებამ სრულიად საწინააღმდეგო მიზანს მიაღწია, ვიდრე მას ჰქონდა განზრახული.

ლ. ჯ—ძე.

### 25 ენკენისთვის სხდომა
თავმჯდომარეობს ნიკ. ჩხეიძე.

#### კანონპროექტები

წარსულ სხდომაზედ მიღებულ კანონპროექტთა სარედაქციო შესწორებათა შემდეგ, რომელთაც კითხულობენ საბჭოს წევრნი რ. არსენიძე და შ. ამირეჯიბი, უკამათოდ მიღებულ იქმნა ორი კანონპროექტი საფინანსო კომისიისა, შესახებ სახელმწიფო კონტროლიორისათვის წლიურათ 18000 მანეთის ჯამაგირათ დანიშვნისა და სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ, ჯარისთვის გაცემულ სპირტსა და თამბაქოზე.

### ოსმალო ასკერთა მიერ დატყვევებულ ინგლისელთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა

საბჭოს პრეზიდიუმში სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მიერ შემოტანილია მთავრობისადმი შეკითხვა შესახებ ოსმალო ასკერთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ბაქოში დატყვევებულ ინგლისელთა შემოყვანის შესახებ.

#### შეკითხვის სისწრაფე

ვინაიდან სოციალ-დემოკრ. შეკითხვის წინ წესრიგში დასმულია საბჭოს წევრის ახმეტელის შეკითხვა, სოციალდემოკრატები ითხოვენ ამ შემთხვევისათვის რეგლამენტის დარღვევას და პირველ რიგში მათი შეკითხვის მოსმენას. შეკითხვის სისწრაფეს იცავს ირაკლი წერეთელი და ასაბუთებს მით, რომ შეკითხვის საგანია ჩვენი სუვერენიტეტის შებღალვა, რაიც პარლამენტის მხრივ სასწრაფო ყურადღებას ითხოვს.

სოციალ-დემოკრატების წინადადებას კრება ერთხმად აკმაყოფილებს. სიტყვა ეკუთვნის ირაკლი წერეთელს.

#### ირაკლი წერეთლის სიტყვა
ტყვეთა შემოყვანა ჩვენი სუვერენიტეტის შებღალვა

სოც.-დემ. ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ ოსმალო ასკერებს საქართველოს დედაქალაქში შემოუყვანიათ დატყვევებული ინგლისელები. თუ ნეიტრალ ტერიტორიაზედ უცხოელებს თავისუფლად შეუძლიათ შემოიყვანონ თავიანთი ტყვეები და მთავრობამ ამის საწინააღმდეგო ზომები არ მიიღო, მაშინ ამ სახელმწიფოს ნეიტრალობაზედ ლაპარაკი აღარ შეიძლება. ამ ომის განმავლობაში ასეთს ფაქტს არსად ადგილი არ ჰქონია. თვით მეომარი სახელმწიფონიც კი უდავოთ სთვლიდენ, რომ თავის ტერიტორიაზედ უცხო შეიარაღებულ ძალისათვის იარაღი აეყარათ.

#### ხელშეკრულება ოსმალეთთან

ოსმალეთთან ჩვენ გვაქვს დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალით ოსმალეთს შეუძლია თავისი ჯარის გადაყვანა ჩვენის რკინის გზით, მხოლოდ ჩვენს მთავრობასთან შეთანხმებით და ჩვენც პირნათლად ვასრულებთ ჩვენგან მიცემულ პირობას; ასკერების შემოყვანა კი არავითარ ხელშეკრულებაში არ არის მოხსენებული და ეს უაღრესად აღმაშფოთებელი ფაქტია...

#### მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს საწინააღმდეგო ზომები.

მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს საწინააღმდეგო ზომები და მე დარწმუნებული ვარ რომ ეს ზომები ყველა იმ პირთა შორის, ვინც კი საერთაშორისო ნორმებთან არის გაცნობილი გულწრფელ თანაგრძნობას გამოიწვევს. პარლამენტმა უნდა იცოდეს თუ რა ზომებია უკვე მიღებული და რას აპირობს მთავრობა მომავალში.

ამასთანავე ერთად ეს ფაქტი უნდა ეცნობოს ყველა დიპლომატიურ მისიებს. თუ ჩვენ ვერ დავიცავით ჩვენი უფლებანი, ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვაზედ ლაპარაკი სრულებით ზედმეტი იქნება.

მე სრული რწმენა მაქვს, რომ ამ საკითხის შესახებ, მთავრობისაგან სრულ პასუხს მივიღებ და ამასთანავე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მრავალ საკითხებში ეროვნული საბჭო სხვა და სხვა აზრებით განიყოფება, ამ საკითხის გარშემო იგი უსათუოთ გაერთიანდება.

### მთავრობის თავმჯდომარის პასუხი

#### საქმის ვითარება

დღეს დილით, ჩემის ბინიდან სასახლეში რომ მოვდიოდი, გზაში გადმომცეს ეს ცნობა; დაუყონებლივ დავიბარე ქალაქის გარნიზონის და მილიციის უფროსნი, ბრძანება გავეცი, დაუყონებლივ გაეგოთ მართალია თუ არა ეს ცნობა და თუ მართალია, აღმოეჩინათ ის ბინა, სადაც დატყვევებულნი იმყოფებიან და ჩვენი ყარაულები დაეყენებიათ. ბრძანებისთანავე ისინი გაეშურენ ოსმალთა მისიაში და იქ უთხრეს, რომ ეს ცნობა თუმც მართალია, მაგრამ ეს ფაქტი მოხდა მათ და უნებურათ და რადგანაც ჩვენთვის იგი შემბღალავია, უკან დააბრუნებენ, ტყვეები კი ამ ჟამად სადგურზედ იმყოფებიანო. გარნიზონის უფროსი მე დაუყოვნებლივვე გავაგზავნე სადგურზე და ვუბრძანე, შეედგინათ აქტი, დაეყენებიათ ყარაულები და უჩემოთ ტყვეების წაყვანის უფლება არავისთვის არ მიეცათ. ტყვეები თბილისში კვირას მოუყვანიათ, დღეს სამშაბათია. ოსმალთა მისიამ ეს იცოდა და დღემდე ჩვენთვის არაფერი არ უცნობებია. მოიყვანეს ჩუმათ, მალულად, ასევე მალულად მიყავდათ უკან და ჩვენ არაფერი არ ვიცოდით.

#### უნდა მოხდეს ტყვეების ინტერნატი.

ჩვენს ტერიტორიაზედ არავის არა აქვს უფლება დააკავოს ვინმე, თუ სათანადო ნებართვა არ არის ჩვენგან გაცემული და ვერც ამ შემთხვევაში მიეცემათ ამის უფლება.

საერთაშორისო ნორმების მიხედვით თუ ტყვეები მოჰყავთ, ხდება მათი ინტერნატი და ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ.

#### მთავრობა ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ სახელმწიფოს ძირითადი ნორმები შებღალული არ იქმნეს.

ამაში დამნაშავენი რამდენიმედ ჩვენი საზღვრების დარაჯებიც არიან. მათ უნდა იცოდენ, თუ ვინ მიჰყავთ და მოჰყავთ მათს სადარაჯო საზღვრებზედ.

დღეს სათანადო აქტი იქნება შედგენილი და გამოირკვევა ისინი შემოვიდნენ როგორც ტყვეები, თუ თავისუფალი მოქალაქენი; აგრეთვე მივიღებთ ყოველივე ზომებს, რომ საერთაშორისო ნორმებიც სავსებით იქმნენ დაცულნი. ამის შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება მსჯელობა, ხოლო ამ ჟამად მთავრობა აცხადებს, რომ მიღებული იქნებიან ყველა ზომები, რათა ჩვენი სახელმწიფოებრივობის ძირითადი ნორმები სავსებით დაცულნი იქმნენ და არავისაგან შებღალულნი არ იქმნენ (ტაში ყველა სკამზედ).

#### ფრაქციათა განცხადებანი

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას განმარტების შემდეგ, სპირიდონ კედიას სიტყვით იხსნება ფრაქციათა განცხადებანი.

#### სპირიდონ კედია

არსებითად მთავრობის თავმჯდომარის სიტყვის წინააღმდეგ არაფერი არ ითქმის. როდესაც ხიფათია მომდგარი შეგნებული მოქალაქენი უნდა შეერთდნენ. ამ მხრივ, დარწმუნებულნი ვართ, რომ წერეთლის წინადადება საერთო მოწონებას გამოიწვევს. სამწუხაროა, რომ მთავრობის თავმჯდომარე მხოლოდ დღეს იგებს იმას, რაც ჩვეულებრივმა მოქალაქემ დიდი ხანია გაიგო. სამწუხაროა, რომ საყვედური მიმართულია მხოლოდ ოსმალეთის მისიის მიმართ. საყვედური უნდა მიემართოს იმ მოხელეთ, რომელთაც დავალებული აქვთ დარაჯობა საქართველოს საზღვრებისა და განსაკუთრებული სიფხიზლე მოეთხოვებათ. აი ამათ უნდა მოეთხოვოს სასტიკი პასუხი!

რაც შეეხება იმას, რომ დარღვეულია ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულება, მთავრობა მოვალეა, დაიცვას იგი მთელი თავისი ძალით.

ა. ფალავა (ს.-ფ.). სრულ კმაყოფილებას აცხადებს მთავრობის განმარტების გამო.

ი. გობეჩია (ს. რ.). აგრეთვე კმაყოფილია განმარტებით და ითხოვს, რომ დატყვევებული ინგლისელები განთავისუფლებულ იქმნენ.

შალვა ქარუმიძე „დამოუკიდებელ ნაც.-დემოკრატიული" ფრაქციის სახელით გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მთავრობა დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს და ისე, რომ არ დაირღვეს უცხო სახელმწიფოსთან დამყარებული მეგობრული განწყობილებანი.

#### გარდასვლის ფორმულა

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ირაკლი წერეთელს შემოაქვს შემდეგი ფორმულა გარდასვლისა:

„ეროვნულმა საბჭომ მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოციალ-დემ. ფრაქციის შეკითხვის შესახებ, ოსმალო ასკერების მიერ საქართველოს ტერიტორიაზედ ტყვეების შემოყვანის გამო, დარწმუნებულია, რომ იგი ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ დაცულ იქმნეს საქართველოს სუვერენიტეტი და სრულ ნდობას უცხადებს მას.

#### ნდობის საკითხი

ორატორის სიტყვით, ნდობის საკითხი დასმულია მხოლოდ მისთვის, რომ ყველა დარწმუნდეს, რომ მთავრობის მიერ მიღებულს ზომებს ეროვნული საბჭო ერთსულოვანად მხარს უჭერს.

ეროვნული საბჭო ერთხმად იღებს წერეთლის მიერ წარმოდგენილ ფორმულას.

### ა. ახმეტელის შეკითხვა

წარსულ სამშაბათს საბჭოს წევრის ა. ახმეტელის შეკითხვის შემდეგ სასურსათო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პასუხით საბჭოს წინაშე ერთი კვირის შემდეგ წარსდგება. საერთოთ თვით შეკითხვა კი უკვე ერთ თვეზე მეტია რაც საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენილია. დღევანდელ სხდომაზე საპასუხო სიტყვით გამოვიდა სასურსათო და გზათა მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე.

### ივ. ლორთქიფანიძის სიტყვა

#### პური საქართველოსთვის

წარსულ სხდომაზედ მოგახსენეთ, რომ მთავრობა წარმოადგენს დამატებით ცნობებს, რომლებზედაც მე ამჟამად მივაქცევ თქვენს ყურადღებას და შემდეგ გადავალ იმ კურსზედ, რომელიც მიიღო მთავრობამ სასურსათო პოლიტიკაში. წარსულ სხდომაზედ მე მოგახსენეთ, რომ მთავრობის მიერ გადადგმულ იქნა სათანადო ნაბიჯები, რომ საქართველოში პური ყოფილიყო შემოტანილი და გაგაცანით იმ ხელშეკრულობათ, რომლითაც შეეკრა სასურსათო სამინისტრო სავაჭრო სახლს „კომერსანტს".

ამ ჟამად ჩვენა გვაქვს უკვე ოფიციალი ცნობები, რომ ყუბანის მთავრობა გვპირდება საქონლის გაცვლის წესით მოგვაწოდოს 100 ვაგონი ხორბალი, და 25 ვაგონი უკვე გამოგზავნილია. მასთან ერთად იგივე მთავრობა იძლევა პირობას იმ ჯარის ხორბლის მხრით უზრუნველსაყოფათ, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებზედ იმყოფება, მხოლოდ წინდაწინ ითხოვენ პურის ღირებულების გადახდას. ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი გუშინ ელაპარაკა ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს და დაპირდა კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარებას.

ჩვენი მთავრობის მხრით იქით გაგზავნილია ევგენი გეგეჭკორი და სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს საქმე ძალე მოეწყობა.

მეორე საკითხია ტრანსპორტის საქმე. ყუბანის მთავრობას სრულებით არ ქონია გადმოსაზიდი საშუალებანი და ითხოვენ, რომ ამ მიზნისთვის გახსნილ იქნენ ჩვენი გემები საქართველოს დროშის ქვეშ.

#### მარილის საკითხი

მარილის საკითხის გარშემო დიდი განგაში იყო ჩვენს საზოგადოებაში. გამორკვეულია, რომ საქართველოს სჭირდება წელიწადში 1,300,000 ფუთი მარილი. ჩვენ გადავწყვიტეთ რაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უსათუოდ მოგვეტანა ეს მარილი;

სამინისტროში შემოტანილი იყო წინადადება: ერთი გერმანოვიჩის და მეორე ხოდორსკის მიერ; ჩვენ ხელშეკრულება დავდევით ამ პირებთან და მათაც თავისი პირობა შეასრულეს: პირველმა შემოიტანა 200 ათასი ფუთი და მეორემ სამასი ათასი. ამასთან ერთად მივეცით უფლება კოოპერატივებს და ქალაქის თვითმართველობათ, რომ საკუთარი თაოსნობით შეეძინათ ეს საქონელი და ამ ჟამად საქართველოში 600 ათასი ფუთი მარილი იქნება, ჯრაც ნახევარი წლის ნორმას წარმოადგენს.

#### მოცვის ჩაი.

ქუთაისის გუბერნიაში საკმაოდ მოიპოვება ეგრეთ წოდებული მოცვის ჩაი. გამოირკვა, [illegible] გაქონდათ ებრაელებს და შემდეგ იგი საქართველოში პოპოვის, თუ სხვა რომელიმე ფირმის სახით, ქუთაისში ამ ჟამათ მოქმედებს ორი ჩაის ქარხანა და მათ მიერ დამზადებული საქონელი არაფრით არ ჩამოუვარდება ძველათ შემოტანილს. ამ ჩაის შესაკრეფათ, სამინისტრომ გაგზავნა ქუთაისის გუბერნიაში ორი რწმუნებული და 8 ათასი ფუთი უკვე შეგროვილია. მაგრამ ეს ჩაი ძალიან ბევრს გააქვთ მალულათ და განსაკუთრებით იმ ვაჭრებს, რომელთაც ურთიერთობა აქვთ აძერბეიჯანთან.

#### შაქარი

შაქრის შესახებ მდგომარეობა ისეთია, რომ ორ სამ დღეში შაქარი უსათუოდ უნდა მივიღოთ უკრაინიდან. შაქრის ნორმა საქართველოსთვის 800,000-იდან 900,000 ფუთამდეა, ხოლო 120—140 კალონამდე უკვე გვაქვს. სხვა დაწესებულებათაც საკმაოთ აქვთ შემონახული.

#### სასურსათო სამინისტრო

თქვენ კარგათ იცით, რომ სასურსათო სამინისტროს შესახებ, მრავალი წერილები იწერებოდა. განსაკუთრებით საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია ლევან მეტრეველის წერილმა, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეში" იყო დაბეჭდილი. ისეთი რიხით იყო დაწერილი ეს წერილი, რომ უთუოდ ეჭვი ან მინისტრზედ და ან რომელიმე დიდ მოხელეზედ უნდა მიგეტანათ და როდესაც ბატონ მეტრეველს ჩვენ პასუხი მოვსთხოვეთ, მან გამოგვიგზავნა ბარათი, რომელიც იწყებოდა ესე: „ბატონო ვეზირო"! და ამ წერილში ამჟღავნებს იმ პირის ვინაობას, რომლის შესახებ იყო ნათქვამი მის საგაზეთო წერილში. ეს პირი გახლდათ გომის აგენტი! ამასთან ერთად მეტრეველი წინადადებას გვაძლევდა, დაგვენიშნა ის სამინისტროს რწმუნებულათ და რევიზია ჩაგვებარებია.

იმედია თქვენ არ გაგიკვირდებათ რომ მას ეს თანამდებობა არ მივაკუთვნეთ!

ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც არსებობდა სასურსათო სამინისტრო, მაგრამ ეხლა დგება საკითხი არის თუ არა ესეთი დაწესებულება? მართალია ბევრი წე- [illegible] ეს სამინისტრო ვერ უძლევა თავის საქმეებს, მაგრამ თუ მიიღებთ მხედველობაში რომ მისი მთავარი ოპერაციები უკვე დასრულებულათ და პურის საკითხი გათავებულათ უნდა ჩაითვალოს, თქვენ მიხვდებით ამ წერილების უსაფუძვლობას; ამ ჟამათ, რასაკვირველია, ამას მაინც აღარავინ ამტკიცებს.

#### სპეკულიაცია.

ეხლა სწარმოებს საოცარი სპეკულიაცია: ერთი ორგანიზაცია ყიდულობს მაწონს და ნაწილს ახმობს, ხოლო ნაწილს სადღაც აგზავნის; მეორე ორგანიზაცია ყიდულობს კვერცხებს და ისიც ნაწილს ახმობს, ხოლო დანარჩენი ჩუმათ გააქვს. ზოგმა შეიყვარა ლორები; ძალიან ბევრი აგროვებს დაფნის ფოთოლს, თხილს და ეს ყველაფერი ვიცით, რომ პატარ-პატარა ჯგუფებათ ჩვენგან მიდის, მაგრამ როგორ და სად მიდის ვერაფრით ვერ გავიგეთ.

ამას თუ დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ აუარებელი საქონლის შემოტანაა საჭირო: პურის, შაქრის და სხვათა, დარწმუნდებით, რომ ჩვენს დაწესებულებას ძალიან ბევრი აქვს სამუშაო.

#### სასურსათო საქმის ორგანიზაცია.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ საქმის ორგანიზაცია მომავალში? მთავრობას მსჯელობა ჰქონდა ამ საკითხის შესახებ და შემუშავებული სათანადო პროექტი. ამ პროექტით სასურსათო საქმეს გაუძღვება უმაღლესი ორგანო—სასურსათო საბჭო, რომელიც შესდგება ქალაქთა წარმომადგენლებისაგან, 1 მთავარი საინტენდანტოსაგან, 1 სახალხო გვარდიის საინტენტოსაგან, 1 რკინის გზის სასურსათო კომისიისაგან.

ესეთი წესით ძირეული ორგანო იქნება უმაღლესი ხელმძღვანელი საქართველოში. მაგრამ ისმება საკითხი, შეიძლება მას გადავცეთ სრული ძალაუფლება? რადგანაც ეს ორგანო სახელმწიფო ხაზინიდან იღებს ფულს, შეუძლებელია, რომ სავსებით თავისუფალი იქმნეს თავის მოქმედებაში და ამისთვის ამ სასურსათო საქმის თავმჯდომარე ინიშნება საქართველოს მთავრობის მიერ. ეს ორგანო 2—3 კვირის განმავლობაში ჩაიბარებს ყველა საქმეებს და თუ 2 თვის განმავლობაში არ შემოვიდა სამყოფი პური, შეუდგება მის იძულებით შესყიდვას.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშები

**ლეჩხუმის ბოლშევიკები**

**ცაგერი.** 24 სექტ. პოლკოვნიკ ზაქარიაძის საექსპედიციო რაზმმა სოფ. ჩუქმში ბოლშევიკებთან ორ საათიან ბრძოლის შემდეგ დაატყვევა მათი მეთაურები ორი ძმა ბენდელიანი.

**სამეგრელოს ბოლშევიკები**

**ხენაკი.** 24 სექტ. სოფელ ჰოლენში მილიციონერებმა დაატყვევეს ადგილობრივი გამოჩენილი ბოლშევიკი აკაკი ოჩიგავა, რომელიც ლეჩხუმის მაზრაში ორბელიანის გვარით მოქმედობდა და ბოლშევიკების ლიდერი ყოფილი სტრაჟნიკი ანდრია ქაჯაია.

**ჯულფა-ბაქოს რკინის გზა**

**თბილისი.** 24 სექტ. ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრმა ბაქოდან საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრის და დიპლომატიური წარმომადგენლის ბ. ჯაფაროვის სახელზე შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: „გატყობინებთ, რომ ადერბეიჯანის მთავრობა თანახმაა თავის თავზედ იდოს ჯულფა-ბაქოს რკინის გზის ლიკვიდაცია, თბილისში შემუშავებული გეგმის მიხედვით, იმ პირობით, რომ გამგეობა ბაქოში გადავა.

# ბაქო

**ბაქოსთან მიმოსვლის გახსნა**

ბაქოს გზა უკვე გაიხსნა. ამ ჟამად ყოველ-დღე დიდძალი ხალხი ჩამოდიან ბაქოდან,—რუსები, ებრაელები უმთავრესად სომხობა.

**მდგომარეობა ბაქოში**

პირველ დღეებში ბაქოს აღებისა ასკერებს დიდი უწესოება ჩაუდენიათ ქალაქში,—დიდძალი სომხობა ამოუჟლეტიათ, სახლები, მაღაზიები და სავაჭროები დაუცარცვიათ, ქალები გაუპატიურებიათ. ქალაქის კომენდანტს სასტიკი ზომები მიუღია დამნაშავეთა წინააღმდეგ,—ზოგი დაუხვრეტია და ზოგიც დაუტუსაღებია. ამ ჟამად ბაქოში სულ სიწყნარეა.

**შაუმიანის დახვრეტა**

როგორც ბაქოდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ, ბაქოს ბოლშევიკების მეთაური შაუმიანი ოსმალთა ჯარებს დაუხვრეტია.

**ბოლშევიკი ა. ჯაფარიძე**

[illegible] მენ, ბაქოს კომენდატი ნაზიმ ფაშა, შაუმიანის ამხანაგს ბოლშევიკს პ. ჯაფარიძეს, ამ დღეებში გამოგზავნის თბილისში, სადაც გასამართლებულ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის ძიერ, როგორც სახელმწიფო მოღალატე.

**ბოლშევიკების გაქცევა ბაქოდან**

როდესაც ადერბეიჯანის ჯარები დაუახლოვდა ბაქოს, მაშინ ბოლშევიკებმა თავს უშველეს და გემებით გაიქცნენ. ინგლისელ ჯარებს ეს არ მოეწონათ და ზარბაზნები დაუშინეს მათ. ორი მესამედი ბოლშევიკების ჯარისა შესდგებოდა სომხებიდან.

**„დეილი ქრონიკლ“ ბაქოზე.**

ინგლისური გაზეთი „დეილი ქრონიკლ“ 20 სექტემბრის ნომერში ბაქოს დაცემაზე სწერს: „ვის ედება პასუხისმგებლობა ამ უაზრო ავანტიურისთვის? შეიძლებოდა წინდაწინ თქმა, რომ რუსეთის განწყობილება გულისხმობდა მარცხს. განა ღირდა მესოპოტამიიდან ჯარების გადაყვანა ენზელიდან ბაქოში. კიდევ დიდი ბედნიერება, რომ ექსპედიცია სრული კატასტროფით დათავდა.

# ქრონიკა

**თბილისი.**

✦ **სოჩიდან მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო:** „სოჩის მოქალაქეთა საზოგადო ყრილობამ მოისმინა რა ევ. გეგეჭკორის მოხსენება, დაადგინა: 1) ერთად ერთი ნაწილი ყოფილი რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც არა თუ ცნობილია სისხლით მოპოვებული [illegible] რესპუბლიკანური წყობილება, არამედ [illegible] მტკიცებული ძირითადი კანონე[illegible] [illegible]ის საქართველოს რესპუბლიკა, 2) იმ მიზნის მისაღწევად, რომ ყველა რუსეთის ნაწილები მოგროვებულ იქნას ერთ ძლიერ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დემოკრატიამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის თვითმართველობის აღდგენას, განხორციელებას; 3) სცნობს რა კრება ყუბანის ოლქთან საქონლის გაცვლის მოწესრიგებას სასურველად, მასთან ერთად ამბობს, რომ სოჩის ყუბანის ოლქთან შეერთება გააძლიერებს სამხედრო დიქტატორის სფეროს, გავლენას და სოჩის ოლქის მცხოვრებთ წაერთმევათ დემოკრატიული თავისუფლება; 4) ოლქის თავისუფალი განვითარება, ხალხის მმართველობა, მიწის რეფორმის გატარება, დემოკრატიული მართვა-გამგეობის ფორმის შემოღება და კლასობრივი ბრძოლის კულტურული ფორმის განვითარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობაში, თუ ოლქი შეუერთდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამის გამო კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით გამოხატოს სოჩის დროებითი საქართველოსთან შეერთება. თავმჯდომარე პეტრე იზმაილოვი“.

✦ **სურსათის შემოზიდვა ჩრდილოეთ-კავკასიიდან.** მთავრობამ ნება დართო რუსთა ეროვნულ საბჭოს, ჩრდილოეთ-კავკასიიდან სხვა და სხვა სურსათის და პირველ საჭიროების საგნების შემოზიდვისა.

✦ **ვოლგა-კამის ბანკის** თბილისის განყოფილებამ სთხოვა რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა აღძრას ოსმალეთის მთავარ-სარდლობის წინაშე, რათა მან ბოლო მოუღოს ხსენებულ ბანკის ბაქოს განყოფილების შევიწროვებას. ამ ბანკს ბაქოში 4,000,000 მანეთის ბამბა „დაჰკარგვია, ოსმალები არაფერს ღონობენ მის აღმოსაჩენად და ბანკის დირექტორის მიმართვას უყურადღებოდ სტოვებენ. ბანკის დირექტორი აღნიშნავს საქართველოს და სომხეთის მთავრობათა კარგ მოპყრობას ხსენებულ ბანკისადმი. რუსთა ეროვნული საბჭომ სათანადო შუამდგომლობა აღძრა ოსმალთა მთავარსარდლობის წინაშე.

✦ **რუსთა ეროვნულ საბჭოს** ატყობინებენ, რომ ს. დედოფლის წყაროს მეციხოვნე ჯარის უფროსმა რუსებს ჩამოართვა ეკლესია და მის მრევლს საეკლესიო ქონების ჩამორთმევა მოსთხოვა.

✦ **განჯის გუბერნიაში.** ადერბეიჯანის მთავრობამ პურის მონოპოლია გამოაცხადა.

✦ **ლატარიის მომწყობ** საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მოგება მისცეს მოგებულ ბილეთების პატრონებს ნაღდ ფულად და არა ჩეკებით.

— ყველა პროჟექტორებს სარეკლამოდ პარასკევისთვის უფასოდ დაუთმეს ლენტები.

✦ **ხორბლის შეძენა.** საქველმოქმედო საზოგადოებამ 400 ფუთი ხორბალი შეიძინა, ფუთი 15 თუმნად. ეს ხორბალი ქართველ ლტოვილებს იაფ ფასად დაეთმობათ.

✦ **ქურდობა.** ენკენისთვის 24, ღამე უცნობმა პირებმა მიხეილის პროსპექტზე გაქურდეს ჯანდიერის სარეცხავი სახელოსნო. წაიღეს 12,000 მან. ტანისამოსი.

✦ **ქართულ გიმნაზიაში მოზრდილთათვის** (ყაზბეგის ქ. № 18) სწავლა ენკენისთვის 28 დაიწყება.

✦ **მკვლელობა და თვითგასამართლება.** ენკენისთვის 24, საღამოს 5 საათზე მედუქნე სარქის ასლამაზოვსა და 1-ლ კომისარიატის უმცროს მილიციელს ბედაევს ჩხუბი მოუვიდათ. ასლამაზოვმა (ყოფილი ჯიბგირია) ბადაევს გინება დაუწყო და ეუბნებოდა, ვერ გაბედავ მესროლოვო. მილიციელი გაბრუნდა, 2 საათის შემდეგ დაბრუნდა ასლამაზოვთან და რევოლვერის სროლით იქვე მოკლა. ბადაევი გვარდიელებმა დაიჭირეს და კომისარიატში მიჰყავდათ. რტიშჩევის და ლერმონტოვის ქ.ქ. კუთხეში ბადაევმა რევოლვერი იძრო და გვარდიელებს სროლა აუტეხა, მაგრამ ვერ მოარტყა. ამის შემდეგ გვარდიელებმა ბადაევი ვინტოვკების ზალპით იქვე დახვრიტეს.

✦ **რუსების შევიწროება განჯაში.** რუსთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ განჯის გუბერნიაში რუსები დიდ შევიწროებას განიცდიან; მათ ართმევენ ცხენებს, ინვენტარს და პურს. მოსალოდნელია რუსთა შორის შიმშილი. პურის მოტანის იმედი არსაიდანაა.

✦ **სისხლის სამართლის** მილიციის უფროსის თანაშემწედ ინიშნება ს. ლ. ჟორდანია, ხოლო ყოფილი თანაშემწე სისხლის სამართლის მილიციის უფროსისა ნ. შელია—მე 3-მე უბნის კომისრის თანაშემწედ.

✦ **ქართულ-გერმანული კულტურული საზოგადოება** აწყობს მთელ რიგს ლექციებისას, რომლითაც გერმანეთის დელეგაციას გააცნობენ ქართულ კულტურას და ცხოვრებას. კვირას ენკენისთვის 29 არტურ ლეისტი წაიკითხავს ლექციას „ქართულ პოეზიაზე“, ხოლო ბ-ნი ჰეინე გერმანულად ნათარგმნ ქართულ ლექსებზე.

✦ **სასურსათო დუქნის გაქურდვა.** ენკენისთვის 25-ს უცნობმა პირებმა გასცარცვეს მე 6-ე რაიონის (1 უბანი) სასურსათო დუქანი. წაღებულია მთელი შაქარი, ფქვილი და სხვა სურსათი, რომელიც მცხოვრებთათვის უნდა დაერიგებინათ.

✦ **გერმანიის საიმპერატორო წარმომადგენლად** ადერბეიჯანის მთავრობასთან დანიშნეს პოლკოვნიკი ფონდერ-ჰოლცი, რომელიც ამ დღეებში ბაქოში გაემგზავრება.

✦ **ადერბეიჯანის მთავრობა ბაქოში.** ადერბეიჯანის მთავრობამ ბაქოს სატახტო ქალაქად სთვლის და მთავრობა უკვე გაემგზავრა ბაქოს.

✦ **მოზრდილ ქალ-ვაჟთა** საღამოს კურსები ქართულ გიმნაზიაში (ყაზბეგის ქ. № 18), სწავლა იწყება 18 (15) ენკენისთვეს.

✦ **მსახიობ ივ. სარაჯიშვილის ავადმყოფობა.** ეს ერთი ხანია ცნობილი მომღერალი ივ. სარაჯიშვილი მძიმე ავად არის. სექტემბრის პირველ რიცხვებში მსახიობი ეგრედ წოდებულ „ისპანიურ“ ინფლუენციით გახდა ავად. ავადმყოფობა გაუძნელდა და იყო დრო, რომ მსახიობის მდგომარეობამ საშიში სახე მიიღო. ამ ჟამად კრიზისმა განვლო და ავადმყოფი მორჩენის გზაზეა. ავადმყოფს მრავალი მისი მეგობრები და ნიჭის თაყვანისმცემელნი ნახულობენ.

✦ **ქართული ლატარია.** შესდგა „ლატარიის დღეების“ მომწყობი კომისიის კრება. კრებას მრავალი მანდილოსანი დაესწრო. განაწილდა უბნები, თეატრები, პროჟექტორები და კაფეები, სადაც უნდა გავრცელდეს ბილეთები. ბევრმა ამთავითვე წაიღო ბილეთები გასავრცელებლად. ქ. მინადორა ხოშტარიამ შეიძინა 25.000 მ. ბილეთი.

✦ **ქართული ლატარია.** „ლატარიის დღეების“ მომწყობი კომისია ამით აუწყებს კომისიის წევრთ, რომ, რადგან სხვა და სხვა მიზეზთა გამო ლატარიის გამგეობის კანცელარია ახალ ბინაზე (გოლოვ. პრ. № 34) ჯერხანად ვერ გადადის, ამიტომ კომისიის წევრთ ვთხოვთ ბილეთების მისაღებად მობრძანდნენ პარასკევს 27 სექტემბერს, სასახლის ქ. ქარვასლა, მსახიობთა კავშირის კანტორაში.

✦ **ამიერ-კავკასიის ბანკი.** ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს თავის სააქციონერო თანხას სამი მილიონით, ასე რომ მთელი თანხა იქნება ექვსი მილიონი. ხელის მოწერა დაიწყება პირველ ოქტომბერს ამა წლის და გაგრძელდება თვე-ნახევარი, ხელის-მოწერა გაიმართება, როგორც თბილისში ამიერ-კავკასიის ბანკის გამგეობაში, ისე პროვინციაში საურთიერთო ბანკებში.

✦ **ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა კრება.** პარასკევს, 27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის შენობაში მოხდება კრება ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საზოგადოების არჩევანი თავმჯდომარის და სხვა მორიგი საკითხები.

✦ **საერობო არჩევნები.** სიღნაღის მაზრაში საერობო არჩევნები დასრულდა. თბილისის გუბერნიის სხვა მაზრებში არჩევნები ნაწილობით ხდება. მოსავლის აკრეფის გამო გადადებული არჩევნები, მთელს გუბერნიაში დანიშნულია 29 ენკენისთვისათვის.

✦ **კავკასიის მთიელთა ერთობისა, დამოუკიდებლობისა და პროგრესის ლიგა.** სარწმუნო წყაროების მიხედვით ჩრდილო-კავკასიაში, პოლიტიკურ მომენტის მიხედვით დაარსებულა, კავკასიის მთიელთა ერთობისა, დამოუკიდებლობისა და პროგრესის ლიგა. ამ ლიგას მიზნად დაუსახავს შეუერთდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რათა დაარსდეს ერთი მთლიანი დამოუკიდებელი კავკასია კონფედერაციისა, ანუ ფედერატიულ ნიადაგზე. ლიგის ინიციატორები და სულის ჩამდგმელნი ინგუშები ყოფილან.

✦ **შაქრის ქარხანა საქართველოში.** როგორც გერმანული გაზეთი „კავკაზიშე პოსტი“ იუწყება თბილისში დაარსებულა საზოგადოება „შაქარი“, რომელიც ახლო მომავალში შაქრის ქარხნის დაარსებას აპირობს. საზოგადოებამ მიწად მოქმედების სამინისტროს სთხოვა დაუთმოს ბორჩალოს მაზრაში ეგრედ წოდებული გიაურ-არხის მამულიდან 5.000 დესეტინა მიწა შაქრის ჭარხლის პლანტაციისათვის.

✦ **თამბაქოს ქარხნები.** ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობამ მოისმინა კომერციულად დასაბუთებული მოხსენება ალ. ახმეტელისა თამბაქოს ქარხნების მოწყობის შესახებ და ქარხნების დაარსება კომერციულის თვალსაზრისით სასარგებლოდ იცნო და აირჩია კომიტეტი სააქციონერო საზოგადოების მოსაწყობად 3 მილიონ მანეთის ძირითად თანხით.

✦ **რუსთა ეროვნულმა საბჭომ** ჩრდილოეთ კავკასიაში რამდენიმე ვაგონი მარილი გაგზავნა და ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს იქიდგან პირველ საჭიროების საგნების მიღების შესახებ.

✦ **გაგრის ქალაქის თვითმართველობას** კლიმატიურ სადგურის საშუალებებიდან 100.000 მან. მიეცა, რომელიც კლიმატიურ სადგურის კონტროლით უნდა დაიხარჯოს.

✦ **თავის მოკვლა.** ენკენისთვის 22 მიხეილის პროსპექტზე სასტუმრო „სოიუზ“-ის მესამე სართულიდან გადმოვარდა თავის მოკვლის განზრახვით ხსენებულ სასტუმროს მდგმური მარია გალკინისა, რომელსაც ორივე ფეხი მოემტვრა და თავი სულ დაეჩეხქვა. გალკინისა მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მაშინვე გარდაიცვალა. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია. ამბობენ ცხოვრების მძიმე პირობების გამოო.

✦ **ღვინის გადასახადი.** ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ აღიარა ღვინოზე გადასახადი დააწესოს ქალაქებს გარდა იმ ადგილებშიც, სადაც ღვინის წარმოება არ არის.

✦ **ქალაქის გამგეობამ** აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მასალები მდ. არაგვზე და ხრამზე ელექტრონის სადგურების მოწყობის შესახებ. ამ სადგურებიდან ელექტრონის ენერგია ქალაქს უნდა მიეწოდოს.

✦ **თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან** არსებულ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში დაიწყო მოწაფეების მიღება. პირველ კლასში გამოუცდელად იღებენ, ვისაც პირველ დაწყებითი სასწავლებელი გაუთავებია, სხვა კლასებში ან გამოცდით, ან შესაფერი მოწმობით. სწავლის ფასი სამი თუმანია. ეს სასწავლებელი იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზედ № 91, ისე რომ დიდუბეში და ნაძალადევში მცხოვრებ ქართველობასაც შეუძლიან ამ სასწავლებლით სარგებლობა.

✦ **დაპატიმრება და დაჯარიმება.** მილიციის უფროსის დადგენილებით საზოგადო წესიერების დარღვევისათვის ერთი თვით ციხე მისაჯა ი. მა. კარენკოს და მ. სპირიდონკას; ცხვრის ხორცის ნიხრს ზევით გაყიდვისთვის მ. გულიაშვილი 200 მანეთით დააჯარიმეს; ეზოს უსუფთაობისთვის ტერავაკოვი 300 მანეთით დააჯარიმეს; კომბოსტოს ნიხრს ზევით გაყიდვისთვის ნ. თედიაშვილი—100 მანეთით, ყველის ნიხრის ზევით გაყიდვისთვის ტ. ნერსესოვი და ა. გიგოლოვი—300 მანეთი[illegible] რძის ნიხრის ზევით გაყიდვისთვის მ. ასლანიანცი 5 თუმნით; თუ ჯარიმის გადახდა ხსენებულ პირებმა ვერ შესძლეს, მათ ციხე მიესჯებათ 2—3 თვით.

✦ **ქართული ოპერის დასი.** თავ. ხელოვანს ილ. აბაშიძეს უკვე შეუდგენია ქართულ ოპერის დასი. ინიციატორს აზრად აქვს შექმნას თავისუფალ საქართველოში ნამდვილი ქართული ოპერა, ქართულის ცხოვრებიდან, დაარსოს კომპოზიტორთა ფონდი, რომ მუსიკოსები მხოლოდ მუსიკის წერას შეუდგნენ და უზრუნველყოფილნი იყვნენ ცხოვრების გაჭირვებისგან. ამასთანავე გადმოთარგმნილი იქნება საუკეთესო ევროპის ოპერებიც. ამ ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული სია დასისა და გეგმა. სიხარულით და თანაგრძნობით ვეგებებით ამისთანა აუცილებელ და ფრიად სასიამოვნო საქმეს.

**სიღნაღი**

✦ **კომისარების** პასუხის გებაში მიცემა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა ს. ს. კონდოლის და კარდანახის კომისრები, რომლებიც მიუხედავად პურის თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებისა ხსენებულ სოფლებიდან პურის გამოზიდვის ხებას არავის აძლევდნენ და პურის რეკვიზიციას ახდენდნენ, პასუხის გებაში მიეცნენ.

**[illegible] გასწორება**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ № 177 შემდეგი კორექტურული შეცდომები გაიპარა ი. ხახანაშვილის წერილში: „ქართველ ისრაელებისათვის“.

მეორე აბზაცის მე-6 და მე-7 სტრიქონებში სწერია: „ვიდრე ერეკლე მესამემდე“.

უნდა ეწეროს: „ვიდრე ერეკლე მეორემდე“.

მე-12 აბზაცის მე-20 და მე-21 სტრიქონებში სწერია: „ეს გარემოება დიდს „სინანულს გამოიწვევს ქართველ ისრაელთა ფართო მასაში“.

უნდა ეწეროს: „ეს გარემოება დიდს სიხარულს გამოიწვევს და სხვა..“.

# საუბარი ნ. ჟორდანიასი ბიჩთან

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე ბიჩს, ბიჩმა შეატყობინა ნ. ჟორდანიას რომ ყუბანის ოლქში ბოლშევიკების მთავრობა დაემხო და უფლება ხელახლა გადავიდა ძველ მთავრობის ხელში. ყუბანის მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ ორივე სახელმწიფოს შორის დამყარდება მეგობრული განწყობილება და საქართველოს დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება ეკატერინოდარს, მიაღწევს შეთანხმებას ყუბანის მთავრობასთან ყველა კითხვებში. ბოლშევიკები დამარცხდენ არმავირთან და მაიკოფთან. ეს ორი ქალაქი უკვე გადავიდა ყუბანის მთავრობის ხელში. ბოლშევიკები მხოლოდ ერთ ბატალპაშინსკის ოლქში არიან შეგროვილი. ნ. ჟორდანიამ თავის მხრით მიულოცა ყუბანის მთავრობას და გამოთქვა სურვილი, რომ ახალმა მთავრობამ იაროს იმ გზით, როგორც დროებითი მთავრობა.

# კახეთის ნავთი

განსაკუთრებულ თათბირზე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა, განხილულ იქმნა გეოლოგის ციციშვილის მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენება კახეთის ნავთის შესახებ. გამოირკვა, რომ სოფელ ილდოყანსთან ახლოს, ინგლისელთა მიერ დატოვებულ ნავთის ფორებიდან, შეიძლება დღეში 1000 ფუთის ამოწურვა. ნავთის 5 ფორიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთის ექსპლოატაციას ახდენენ, დანარჩენები კი იწმინდება. ნავთი უმაღლესი ხარისხისაა, სრულებით არ ჩამოუვარდება სურახანისას და ბენზინის 15 პროც. შეიცავს.

სამინისტროს თათბირმა, გაითვალისწინა-რა საქართველოში ნავთის მრეწველობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, საჭიროთ აღიარა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან განსაკუთრებული სანავთო განყოფილების დაარსება, ამასთან ერთად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ამ განყოფილების დებულება. თათბირმა აგრეთვე პირველ რიგში დასვა განსახილველათ გურიაში სანავთო წარმოების მოწყობის საკითხი.

# ყოფილი თავ. ბეგ. მარშ. გ. ა. ბაგრატ.-დავითიშვილის და სხ. [illegible]

შინაგან სამინისტროს განკარგულებით საგანგებო რაზმის მიერ დატუსაღებულ იქმნენ გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, ალექსანდრე დეკანოზიშვილი, ივან და რამაზ ბეგთაბეგიშვილები. მათ ბრალდებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება.

# ქალაქი [illegible] სოფლად [illegible]

სასურსათო საქმის მოუწყობლობამ და ამით გამოწვეულმა უწესრიგობამ ბევრს ქალაქის მცხოვრებელს მადა აუშალა სოფლად გასვლისა და იქ პურის მოპოვება სასპეკულიაციო აზრით. რადგან სოფელს მეტად ესაჭიროება ბევრი საქონელი, განსაკუთრებით ტანსაცმელი, ქალაქის ჩარჩები განურჩევლად აგროვებენ ყოველგვარ ტანისამოსს და გააქვთ სოფლად პურზე და სხვა სანოვაგეზე გადასაცვლელად. შედეგათ მივიღეთ ქართლისა და კახეთის სოფლებში ხოლერის საოცარი გავრცელება. რასაკვირველია, მასთან სხვა ბევრი გა[illegible]მდები სენიც ჩაბუდდება ისედაც [illegible]პატრონო სოფელში და მუსრს გაავლებს ხალხს. საჭიროა მიღებულ იქმნას დაუყონებლივ სასტიკი ზომები, რათა უდეზინფექციოთ არავის შეეძლოს ძველი ტანისამოსის სოფლად გატანა.

# უცხოეთის ამბები

**მებრძოლ სახელმწიფოთა დანაკლისი**

„დეილი ტელეგრაფ“ ლორდი ლენსდოუნი ღია წერილში ზავის სასარგებლოთ ამბობს, რომ ნეიტრალ სახელმწიფოთა ანგარიშით ყოველი დღე ომის იღუპება 7,000 კაცი, ასე რომ საერთოთ უკანასკნელ დრომდი უდრის 30 მილიონ კაცს.

**სერ ბიუკენენი რუსეთზე.** ბრიტანიის ყოფილი ელჩი პეტროგრადში სერ ბიუკენენი იმ სიტყვაში, რომლითაც მიმართა ინგლის-რუსეთის კლუბში კიცხავს იმ გულგრილობას, რომლითაც შეხვდენ ინგლისში რუსეთის მეფის სიკვდილს და ამხელს იმათ, რომელთაც ჩირქს სცხებენ ყოფილ მოკავშირე მეფის სახელს.

**ახალი აჯანყება პეტროგრადში.** პეტროგრადში შევიდნენ ახალი ბანდები შეიარაღებული გლეხების და დაიწყეს ბრძოლა ბოლშევიკებთან. იწყება ახალი მასიური ჟლეტა. ტერორმა მიაღწია აპოგეას...

**გერმანელები პეტროგრადში.** გერმანელებს გადაუწყვეტიათ დაიკავონ რკინის გზის ხაზები პეტროგრადის ჩრდილოეთით, რომ უფრო გაიადვილონ ოპერაციები ინგლისელების წინააღმდეგ მურმანზე. ახლო მომავალში გერმანელებს პეტროგრადში ელიან.

**ტანკები.** პოლკოვნიკი ეკლი აცხადებს გაზეთ „ბაზელ. მოამბეში“, რომ მოკავშირეებმა 30—35 კილომეტრიან ფრონტზე გაუშვეს 800 ტანკა, ასე რომ ერთი ტანკა მიდის 40 მეტრზე.

# ომი

**დასავლეთის ფრონტზე**

**ბერლინი.** ენკენისთვის 24. კრონპრინც რუპრეხტის არმია. დიქსმიუდეს ჩრდილო-დასავლეთით და იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა რაზმებმა მარჯვედ გაითარეშეს და 70 ტყვე წამოიყვანეს. გევრის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. არლის სამხრეთით, არხის სექტორში საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა.

**ბოინის არმია.** კონტრ-იერიშებით დავიბრუნეთ ვილაჟ-ჰიუსლენის წინ დაკარგული თხრილები, ასევე მთელი რიგი თხრილებისა დავიბრუნეთ ეპეის აღმოსავლეთით, ამასთანავე ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ამიონისა და სომას შუა საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

ლეიტენანტმა რუმეიმ 41 ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

სხვა ფრონტზე საგულისხმიერო ბრძოლა არ მომხდარა. შამპანში მზვერავი რაზმები დათარეშობენ.

**პარიზი.** 24 ენკენისთვე. სენ-კანტენის დასავლეთით ფრანგებისა და ინგლისელების ჯარები წინსვლას განაგრძობენ. ფრამილი და სოფ. დალონი აღებულია, თუმცა გერმანელები სასტიკს წინააღმდეგობას გვიწევდნენ. შემდეგ ფრანგებმა მოქმედება იწყეს ჟიფ-ფეკურის დასავლეთით, სადაც 550 ტყვე წამოვიყვანეთ. აქ ხელთ ვიგდეთ საკმაოდ დიდძალი სამხედრო მასალა. ვესლას ფრონტზე გერმანელებმა მოახერხეს ფრანგების წინა პოზიციებზე გამაგრება—სხვაფრივ საგულისხმიერო არა მომხდარა რა.

**აღმოსავლეთის არმია.** მტრის დევნას განვაგრძობთ, ბულგარები სტრუმიცისკენ იხევენ. ფრანგთა კავალერია პრილეპში 23 ენკენ. შევიდა. სკარპში საარტილერიო სროლა გაძლიერდა. სხვაფრივ შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**მაკედონიის ფრონტი**

**სოფია.** ენკენისთვის 21. სკუმბიდან ცრნამდე დროგამოშვებით ძლიერი საარტილერიო მოქმედება სწარმოებდა ორთავე მხრით. აღმოსავლეთ ცრნაზე ჩვენმა ჯარებმა კონტრ-იერიშებით უკუაგდეს სერბიელთა ჯარები. ცრნისა და ვარდანის შუა სასტიკი ბრძოლა გრძელდება. იმის შემდეგ, რაც უკანასკნელ დღეებში ინგლისელ-ბერძენთა ჯარები სასტიკი სისხლის ღვრით შეაჩერეს ჩვენმა ძამაცმა მეომრებმა, დოირანთან, მტრის მოქმედება შენელდა. სტრუმის ველზე მოწინავე მზვერავთა შეტაკებაა.

**ნიკოლოზ მეორის დაკრძალვა**

**მოსკოვი.** ენკენისთვის 22. გაზეთი „იზვესტია“ შემდეგი სახით აღწერს ყოფილ მეფე ნიკოლოზ მეორის დაკრძალვის ამბავს: „ყოფილი მეფის გვამი, რომელიც ტყეშივე დაემარხათ დახვრეტის ადგილს, საფლავიდან ამოიღეს. გვამის ამოღებას დაესწრენ უმაღლესი წარმომადგენელნი სასულიერო წოდებისა. გვამი ცინკის კუბოში ჩასდეს, სადაც ჩადგმული იყო ძვირფასი კუბო ციმბირის ხისგან. საპატიო ყარაულების თანხლებით გვამი ეკატერინებურგის საკრებულო ტაძარში დაასვენეს, საიდგანაც შემდეგ ომსკში გადაიტანეს და დროებით დაკრძალეს საგანგებოდ განმზადებულს სარკოფაგში.

# პოლონეთში

გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ პოლიტიკური ნაწილის რედაქტორი ერიხ დომბროვსკი არკვევს იმ უნდობლობის მიზეზებს, რომელმაც ბოლო დროს თავი იჩინა გერმანელებსა და პოლონელებს შორის. ავტორი ამბობს, რომ პოლონური მასსა პირველად დიდის აღტაცებით შეხვდა ცენტრალური სახელმწიფოების ძლევამოსილ ჯარებს. შემდეგ სამხედრო მართველობის შეცდომებმა ცოტა არ იყოს პოლონელ ხალხს გული გაუცივა. ასე რომ 1916 წლის 5 ნოემბრის აქტს, რომლის ძალით ორმა იმპერატორმა პოლონეთის დამოუკიდებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაცხადა, მხოლოდ ინტელიგენცია შეხვდა გულთბილად: გლეხობამ, სამღვდელოებამ და მუშებმა პირიქით დიდი თავდაჭერილობა გამოიჩინეს.

პოლონელებს დიდათ აწუხებს ის გარემოება, რომ ადმინისტრატიული გამგეობის ნაციონალიზაცია ნელის ნაბიჯით მიდის. საოკუპაციო მმართველობის რეჟიმი საერთოდ უსიამოვნებას იწვევს. როცა ავსტრია-ჰუნგრეთის მინისტრმა ჩერნინმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ხოლმის ტერიტორია უკრაინას უნდა გადაეცეს, ზოგიერთ პოლონურ წრეებში ანტიავსტრიული სულიერი განწყობილებაც გაძლიერდა.

პოლონელ გლეხს დიდათ აღონებს რეკვიზიცია. მას გულს უკოდავს ის გარემოება, რომ ერთი დიდი ნაწილი თავისი საქონლისა მთავრობას უნდა ჩააბაროს მტკიცე ფასებში. რაიმონტის რომანიდან ვიცით, როგორ უყვარს პოლონელ გლეხს თავისი საქონელი: ოფიციალურად დაწესებული ფასი მისთვის ცოტაა, მაგრამ თუ ცოტაზე მთავრობის მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდა, უანდარმერია თავისას იქმს. პოლონეთში დაარსდა ეგრეთ წოდებული „ლუდენდორფის საქონლის ფონდი“. გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, იმ ასიათასი თავი საქონლის გარდა, რომელიც ჯარისთვის უნდა მიეწოდებინათ, პოლონელებს კიდევ სამოცთასი თავი უკან დაბრუნებული გერმანელი კოლონისტების საჭიროებისთვის შეეკრიბათ. პოლონეთის ეროვნულ საბჭოში ამ საკითხებმა ცხარე კამათი გამოიწვია.

არა ნაკლებ აღელვებს ხალხს პოლონელი მუშების ბედი გერმანიაში. ეს ასე ვსთქვათ ადამიანების რეკვიზიციაა. როცა ომი დაიწყო, გერმანიაში ნახევარ მილიონზე მეტი მუშა იყო ინდუსტრიასა თუ მეურნეობაში. ეს მუშები გერმანიამ აღარ გაუშვა, მას შემდეგაც კი, როცა პოლონეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. გერმანული მთავრობა ამბობს, რომ ეს მუშები მას შინაგანი ფრონტისთვის სჭირია. პოლონეთში კი, სადაც ქალები და ბავშვები, ქმრებსა და მამებს ამაოდ ელოდებიან, მწვავედ გრძნობენ ოჯახური ცხოვრების დანგრევას.

პოლონელი მწარმოებელი უსაქმოდ დარჩა, მიტომ რომ ლოძისა, ჩენსტოხოვისა და პაბიანიცის წარმოება სრულიად შეჩერებულია. ხპილენძის, თითბერისა და ცინკის რეკვიზიციამ თითქმის საბოლოოდ გაანადგურა მანქანების ღირებულება. ბოლოს თუ მხედველობაში მივიღებთ ცხოვრების არაჩვეულებრივ გაძვირებას, რომელიც ერთნაირად ყველა კლასების უკმაყოფილებას იწვევს, დაახლოებით წარმოვიდგენთ თუ როგორი სულიერი განწყობილებაა დღეს პოლონეთში.

## ადმინისტრატიული გადამიჯვნისათვის

ჩვენი რესპუბლიკის შინაგან განმტკიცებისათვის ადმინისტრატიულ სისტემას და ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს მეტად სერიოზული საგანია თუ, როგორ ადმინისტრატიულ სისტემაზე უნდა შევჩერდეთ ჩვენში ან როგორ უნდა მოვაწყოთ ადმინისტრატიული აპარატი. ამ ხნობამდე დასახელებული კითხვები მმართველ პარტიულ წრეებში წყდებოდა რამდენადაც საქმის სიჩქარე ითხოვდა და მთავრობაც დასახელებულ პოლიტიკურ პარტიის ავტორიტეტს ეყრდნობოდა, როდესაც ხსენებული კითხვების ცხოვრებაში ნაწილობრივ გატარება უხდებოდა.

შეუძლებელია საქმის კიდევ დაყოვნება და უთუოდ სულ ადრე მომავალში ადმინისტრაციის მოწყობის შესახებ დაისმება კითხვა ჩვენს ეროვნულ საბჭოში.

აუცილებელი არის ამ საქმის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამომჟღავნებაც. ჩვენ საშუალება გვექნება ამ საგანს კიდევ დაუბრუნდეთ და კითხვის არსებითი მნიშვნელობას შევეხოთ, დღეს კი მკითხველის ყურადღება ერთ რამეზე უნდა შევაჩეროთ.

როგორც ვიცით ჩვენი მთავრობა დღემდე ძველი ადმინისტრატიული ფარგლებით სარგებლობს, თუმცა რუსეთის ბიუროკრატიული ადმინისტრაციის მიჯნები ჩვენი რესპუბლიკისათვის არც სახელმწიფოებრივი და არც ეროვნული თვალსაზრისით სრულებით შესაფერი არ არის. ჩვენ კარგად გვახსოვს რუსის ბიუროკრატების პოლიტიკა საქართველოში და მათი ადმინისტრატიული „მოსაზრებები“: იმთგან სრულებით უარყოფილი იყო ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები და გამიჯვნის დროს ხელმძღვანელობდენ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ რამენაირად ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულებში ხელოვნურად შემცირებინათ ქართული ელემენტები. განსაკუთრებით ეს ითქმის აღმოსავლეთ საქართველოზე, სადაც რუსეთის ნაციონალისტურ-შოვინისტურმა პოლიტიკამ უამისოდაც დიდი ზიანი მიაყენა ქართველი ერის ინტერესებს.

მაგრამ ულმობელი ბატონი ცხოვრებამ ჩამოგვაშორა და ჩვენს სამშობლოს ახალი და ხელსაყრელი პირობები შეექმნა.

ხელოვნურად და სისტემატიურად დახრული საქართველოს სხეული დღეს თავისუფლების ხანაში დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს და თავის ბუნებრივ კანში შევიდეს.

სახელმწიფოებრივი ყოველივე დარგის საკითხი ამ მიმართულებით უნდა წყდებოდეს და ამავე საზომით უნდა იზომებოდეს.

დღეს ადმინისტრატიულ გადამიჯვნას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ფართო მასსა ამიერიდან არამც თუ აღვილობრივ კითხვებში იღებს მონაწილეობას, არამედ თვითონ ხდება პოლიტიკურ ფაქტორად.

ჩვენ არ ვფიქრობთ მომხრე, რომ ჩვენში ასეთი დაჩქარებით შემოგვეღო ერობა, ვინაიდან სახეში გვქონდა უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ადმინისტრატიული მოუწყობლობა.

დღევანდელი ადმინისტრატიული გადამიჯვნა, როგორც ზევით ვთქვით, ხელოვნური და სრულებით შეუსაბამო არის ჩვენი ერისთვის, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერობა უნდა ემყარებოდეს ახალ ადმინისტრატიულ ერთეულებს, რომლებიც შემოისაზღვრებოდა ეროვნულ ინტერესების მიხედვით.

ამ შემთხვევაში ჩვენ კითხვას სრულიადაც კონკრეტიულად არ ვეხებით: ეს კონკრეტიულ მსჯელობის საგანია თუ როგორ ფორმებში უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის ახალი ადმინისტრატიული გადამიჯვნა. ჩვენი წერილის მიზანს შეიცავდა კითხვის პრინციპიულად დაყენება. როგორ ძნელი არ უნდა იყოს დასახელებული კითხვის სათანადო გადაწყვეტა, ქართველი ხალხის ნაციონალური მისწრაფებანი და სახელმწიფოებრივი ინტერესები დაცულ უნდა იქნას ყოველ შემთხვევაში.

ქ. ხ—ძე.

## ინტელიგენციის დაღუპვა

რუსეთიდან შემაძრწუნებელი ამბები მოდის. იღუპება ინტელიგენცია. პეტროგრად-მოსკოვში სიმშილი მძვინვარებს. ვინ იცის, რამდენ მამულიშვილს უქადის ჩაყლაპვას მეფე-სიმშილი, ხელოვნება, მეცნიერება—სადღა ფასობს ახლა! სპეკულიანტი უნდა იყო, ან ჩარჩი, ან ხარაზი რომ სიმშილით არ მოჰკვდე და იცხოვრო. ყველას აქვს სახსარი და საშუალება ცხოვრებისა—მხოლოდ ინტელიგენციას კი არა. საზღაპრო სიძვირე თანდათან იზრდება, ქვეყანას საშინელი ჯოჯოხეთის ცეცხლი ედება და ამ ცეცხლში იწვის ხალხის მოწინავე რაზმი. ინტელიგენტური შრომა ჩალის ფასად ფასობს. ფიზიკური ერთი-ასად. უბრალო წერა-კითხვას არ მცოდნე ხელოსანი გაბატონდა, ის აღარაფერს დაგიდევს თუ პირად ინტერესებით მთელ ხალხს ზიანს მოუტანს და დაახრჩობს ისედაც განწირულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. უკანასკნელ დაჭიმულ ძარღვებით ღა სცხოვრობს ინტელიგენცია. ერთი ნაბიჯიც კიდევ და დაღუპვის უფსკრული ახლოა! ვინც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას იცნობდა, იმის საწინააღმდეგოს ვერავინ იტყვის. ეს იყო ის ინტელიგენცია, რომელსაც დახავსებულ ცხოვრებაში სხივ-მომფენი შუქი შეჰქონდა, რომელიც საუკეთესო ფხიზელ გუშაგად ედგა მაღალ აზრებსა და იდეალებს.

აქ იყო ჩუმი, მედგარი მუშაობა. აქ ლამობდნენ მშვიდად ხალხის განთავისუფლებას და ამ საწადელს ელირსნენ კიდეც. ხოლოდ ამ განთავისუფლებაში თითონ მსხვერპლად შეეწირნენ. მადლობის მაგივრად იდევნიან. ქუჩებში დადის ხალხი და ცრემლით ალხობს რევოლუციის სისხლით მორწყულ ქვებს. „იყიდეთ გაზეთი! დაგვეხმარეთ!“ ამაზე მეტი საშუალება ვეღარ მოუპოვია ინტელიგენციას. ის სხვას ვერ გაქურდავს, სულს ვერ ამოართმევს თავის გულისათვის, ვერ გაჰყიდის თითო მხალს თითო მანეთად. მაშ რა ჰქნას თუ თავისი ლიტერატურული ნაშრომი მაინც არ გამოიტანოს ქუჩაში?

ამისთანა აჩრდილი ჩვენც გვიდგება თვალწინ. ჩვენი ინტელიგენციაც ამ ჟამად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ზოგის სახლკარი აწიოკებულია, ზოგის სრულიადაც აობრებული. უმრავლესობას ქალაქ ადგილებში მოუყრია თავი. აქ ძნელად შოულობს სამუშაოს და ხშირად ხელცარიელი რჩება.

რა ქნას? არაფერი. უკანასკნელ ძალღონეს-ღა იკრებს. აბა, ახლა შეადარეთ ინტელიგენტურ შრომის გასამრჯელოს რაოდენობა და ფიზიკურისა? ინტელიგენტი უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული იღებს 500—600 მან. უეჭველია მას ოჯახი ეყოლება. ცოლი, შვილი. წარმოიდგინეთ შვილები პატარები არიან, მათ მოვლა უნდა, აღზრდა, სწავლა. დედა თავს დასტრიალებს, მხოლოდ ერთადერთი შემომტანი მამაა. ოჯახში კი იქნება ხუთიექვსი სული სცხოვრობდეს. ეყოფა 500 ან 600 მან. ხუთ-ექვს სულს, როდესაც ეს ფასი ერთი ადამიანის სამყოფიც ძლივს არის? რა მოელის ოჯახს?—სიმშილი! ეხლა გასინჯეთ მუშა ხალხის ხელფასი და გამოარკვიეთ თვიური შემოსავალის რაოდენობა. მუშა ხალხი, განსაკუთრებით სოფლად, გაცილებით უფრო მეტს შოულობს ვიდრე ქალაქში. მაგალითად ავიღოთ, გლეხკაცის ოჯახში ექვსი სულია, დედ-მამა და ოთხიც შვილი. ხომ მოგეხსენებათ, რომ გლეხკაცის შვილი 5—6 წლიდან უკვე შემომტანია. უმრავლესობა არც სწავლობს. მაშასადამე დიდიდან დაწყებული პატარამდე ირჯება, შრომობს და შემოაქვს. ხშირად ეს გარჯა იქნება ადვილიც იყოს. ოჯახის უფროსი მამა დღიურ ხელფასს აიღებს არა ნაკლებ ოთხ თუმანსა, იქნება მეტსაც. (ერთხელ ერთმა სოფლის დედაკაცმა მითხრა—ხან დღეში ათ თუმნისას ვიჭერ ხოლმეო). თვიური შემოსავალი რომ ვიანგარიშოთ ერთათ 1000 მანეთამდე სდგება. ეხლა ამას დედაკაცისა და შვილის შემოსავალიც რომ მივუმატოთ დავინახავთ რომ საშუალოდ გლეხის ოჯახი თვეში სამას თუმანს აიღებს.

აი როგორ განისაზღვრება და როგორ ფასდება ფიზიკური და ინტელიგენტური შრომა! განსხვავება მეტად დიდია. ზოგისთვის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი, მაგრამ ჩვენთვის ეს სრული ჭეშმარიტებაა და თუ თქვენც ჩაიხედამთ დღევანდელს ცხოვრებაში —თქვენც სიმართლეს დაინახამთ და ნათლად გაარჩევთ კიდეც ინტელიგენციის ტრაგედიას სოფლის კეთილდღეობის ფონზე.

ვ. გარრიკი.

## მეთამბაქოეთა საყურადღებოდ

თბილისში არსებულ საქართველოს მეთამბაქოეთა ბიუროს აუარებელი დეპეშები და წერილები მოსდის საქართველოს ყოველი მხრიდან, რომლებიც გვეკითხებიან, თუ როგორ პირობებშია თამბაქოს გაყიდვის საქმე. ბიურო აცხადებს მეთამბაქოეთა საყურადღებოდ, რომ ბიურო ყოველ ზომას ღებულობს თამბაქოს რაც შეიძლება ადრე მოუნახოს ბაზარი მთავრობის დახმარებით. სხვა და სხვა ამხანაგობებისა და კერძო პირებს გარდა გერმანელებსაც უნდათ შეიძინონ საქართველოს ნაწარმოები თამბაქო. მთავრობამ მათ უკანასკნელ ვადათ თხუთმეტი დღე მისცა, რომელიც (ვადა) გადის ამ 5 დღეში. თუ ამ ხნის განმავლობაში გერმანელებმა ვერ შეიძინეს ჩვენი თამბაქო, მაშინ ბიუროს სრული უფლება აქვს თამბაქო იმას მიჰყიდოს, ვისაც მოურიგდება, ხოლო მთავრობაც ვალდებულად სთვლის თავს, მისცეს ბიუროს თამბაქოს გატანის უფლება. აცნობებს რა ბიურო ყველა ამას მეთამბაქოე გლეხებს, სთხოვს მათ ცოტა ხანს კიდევ იქონიონ მოთმინება და მათი ნაწარმოებიც აუცილებლად მალე გაიყიდება. ყოველგვარ საქმის გადაწყვეტილებას ბიურო ადგილობრივად აცნობებს კავშირებს დეპეშით და წერილებით.

მეთამბაქოეთა ბიურო.

## კორესპონდენცია

### სამეგრელო*)

ბოლშევიკური მოძრაობა სამეგრელოში, ამ უკანასკნელ ხანებში, მწვავე ხასიათს იღებს.

*) ამ კორესპონდენციის დაბეჭდვა დაგვიანდა.

სამეგრელოს ორს მთავარ ცენტრში, ზუგდიდსა და სენაკ შუა მოძრაობა შეწყვეტილია. მცხოვრებთა გაჭირვება აუტანელია.

ბოლშევიკური ბრბოის უკანასკნელი ბარბაროსული ოპერაცია დ. ხობის სრული განადგურებით დასრულდა.

ხობი დაცხრილულია, დუქნები დალეწილი, საქონელი, რაც იყო გატაცებული. მცხოვრებლები გაქცეულია.

საერთოდ ხობის ზარალი ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

სენაკიდან ზუგდიდამდე თითქმის ყველა ტელეფონის ბოძები დამტვრეულია, მავთულები დაწყვეტილი.

ახალ-სენაკის ბრძოლით ალების სურვილი დამარცხდა.

პოლკოვნიკ სრესელის და გერმანელი ჯარის კაცების შემოსვლამ სასტიკი გავლენა იქონია ბოლშევიკურ ბრბოის მეთაურებზე.

მოტაცების სურვილით გაქცეული ყაჩაღების ველურ მოძრაობას დროებით ბოლო მოეღო. ქალაქების ახლომახლო სოფლები ისევ გაჭირვებას განიცდიან. დღეს უკვე სხვა ჰანგზე მეტყველობს მეგრელი გლეხის ენა.

ხობის განადგურებამ და მცხოვრებთა გაძარცვამ გლეხს თვალები აუხილა. შეცდომა აშკარავდება. გლეხი უნდობლობას უცხადებს ავაზაკებს.

უკანასკნელნი ჰხედავენ ამ გარემოებას და მუქარით იმორჩილებენ სოფლებს.

ს. ლერწუმეში მრავალი სახლები დასწვეს და გაძარცვეს. ასეა სხვაგანაც.

ხმები მათ მიერ იარაღის დაყრის შესახებ ნახევრად მართალია. მათ შორის დღეს დიდი უთანხმოებაა. მთელი გროვა ორ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი ს. გვასალიას მეთაურობით მომხრეა იარაღის დაყრის, გვასალიას აზრი და დებულებანი ერთობ მართალია. მეორე ნაწილი ხორშის კომისარ ცხომარიას მეთაურობით წინააღმდეგია იარაღის დაყრისა. ცხომარია ერთ დროს ციხეში იყო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო სენაკის მთავრობამ საჭიროდ სცნო მისი განთავისუფლება, რატომ? არავინ იცის.

ეს ზემო აღნიშნული ორი ნაწილი ებრძვის ერთმანეთს. გვასალიას უნდობლობას უცხადებენ, ვითომც როგორც მთავრობის მიერ მოსყიდულ პირს და განზრახვა აქვთ მისი შეპყრობის.

კრებაა: თავმჯდომარეობს ს. გვასალია. სავსეა ხალხი. საკითხია დასმული იარაღის დაყრის შესახებ. ლაპარაკობს ს. გვასალია: „ამხანაგებო! ამდენი ხანი მე თქვენი მეთაური ვიყავი, თქვენც მენდობოდით. რამდენადაც შემეძლო, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. დღეს კი ნუ გაგიკვირდებათ თუ მე უარს ვაცხადებ ჩემს თანამდებობაზე და იარაღს გაბარებთ. მიზეზია ახალგაზდები, აქ ყოფილან ყაჩაღები, მძარცველები, ქურდები, მოიგონეთ ხობის დარბევა, რა ჰქენით თქვენ იქ? რა ჩაიდინეთ? განა პირველად მე არ ავიღე ხობი? მერე ვინ ავაწიოკე? ვინ შევურაცხყავი? არავინ. თქვენ კი, ისარგებლეთ ჩემი ავადმყოფობით და ავაზაკურად გაძარცვეთ ხალხი. სირცხვილი თქვენ. აი, ამიტომ სწორედ მე გავდივარ ამხანაგობიდან. ჩემთან ჩემი ამხანაგებიც“. ასე ასრულებს სიტყვას გვასალია, ამ დროს მოდიან მასთან ოთხი შეიარაღებული და უცხადებენ, რომ ის დაჭერილია. გვასალია თამამად იძრობს რევოლვერს და შესძახებს მათ: „აბა, ვინც ხარ ჩემი მკვლელი, გამოდი, მესროლე, ან შენ ან მე“. დუმილია. გვასალია კიდევ იმეორებს სიტყვას, ისევ დუმილია. შემდეგ ის უერთდება თავის ამხანაგებს და გადის საერთო გროვიდან. დღეს ასეთია განწყობილება მათში. უადგილოა დელეგაცია, მოლაპარაკება. საჭიროა ჯარი და შეტევა. ისინი სულ მალე დამორჩილდებიან.

დღეს გედევანიშვილი თავის რაზმით სენაკშია. როდის დაიწყებს ოპერაციას არ ვიცით.

მეგრელი..

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს პირველათ მიდის „ცარსკაია ნევესტა“, პარასკევს 27 ენკენისთვეს „პიკოვაია დამა“.

**„ლადია არგონავტოვ“.** ორშაბათისთვის განზრახულია ერთდღიანი პროგრამა პროფ. ნ. ნ. ჩერეპნინის მუსიკალურ პოეზიის.

**„ლადია არგონავტოვ“.** დღეს მეექვსე ციკლის პროგრამის პირველი დღეა. პროგრამაში შესულია სერგო გოროდეცკის ერთ მოქმედებიანი პიესა: „ტენორი და რეზეცენტი“, „დამოსაელეთის ყავახანაში“ სიმღერები სანდრო ყანჩელისა, მუსიკა ჩერეპნინისა, კორონის: მე 18 საუკუნის სიმღერები, ბალეტი და პატარა სურათები.

**თეატრი „მინიატიურ“.** გახსნა თეატრი „მინიატიური“ პროგრამაში: „კაცი სიგარით“, ბალეტი, ვენგრული ცეკვა.

**ვანო სარაჯიშვილის ავადმყოფობა.** ერთ კვირაზე მეტია, რაც მძიმე ავათ არის მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. წელს სარაჯიშვილი სეზონს გარეშე დარჩა.

**ილიკო ქურხულის სალამო.** კვირას 29 ენკენისთვეს მუშათა კლუბში გაიმართება ი. ქურხულის სალამო. მონაწილეობას მიიღებენ გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი, აგრეთვე მოხეტიალე მემუსიკე ნ. სახაროვი.

**მუსიკალური კონკურსი.** ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი კვარტეტისა, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ქართული მუსიკით. პირველი პრემია 1500 მან., 2—1000 მან. და 3—800 მან.

**მუსიკალური სკოლა.** თანახმად განათლების სამინისტროსი, ქართული მუსიკალური სკოლა ამ დღეებში გადადის დედათა ინსტიტუტის შენობაში, რომელშიაც იმყოფება სპეციალურად მოწყობილი სამუსიკო ოთახები საკონცერტო დარბაზით.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## განცხადება

ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ საპიროს მასალების უკმარისობის გამო 10 ავგუსტოდან მატარებლების მიმოსვლა იქნება შემდეგ ნაირად:

თბილისიდან გადის

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9 10 | სალამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

თბილისში მოვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | სალამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | სალამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მუღრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ხუთშაბათს, ენკენისთვის 26 შესდგება**

**ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა და მოწაფეთა**

# კონფერენცია

შაბათს, 28 ენკენისთვეს, სალამოს 7 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის

**მეორე რაიონის წევრთა**

# საზოგადო კრება

დღის წეს-რიგი: 1) რაიონის კომიტეტის მოხსენება. 2) სპირიდონ კედიას მოხსენება. 3—1

**ვეძებ**

**ორ ოთახს, ან ერთს**

კარგად გაწყობილს, ელექტრონის განათებით, გოლოვინის პროსპექტის რაიონში. მისამართი „საქართველოს“ რედაქციაში. ტელეფონი 15—73, 11 საათიდან 1 საათამდე, ლ. ჯაფარიძეს. 3—4

**ექიმი**

**მ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და სალამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**ქალ. ქუთაისში**

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

**საავადმყოფო**

[illegible]

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**გაიხსნა**

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალკლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

**ქიქოლიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და სალამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**ექიმი**

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე სალამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

მისამართი: მოსკოვის ქ. № [illegible] ზემელის აფთიაქის მახლობლ[illegible] თ. —153[illegible]

**პარტის 20 გაიხსნა ახალი**

**სამკურნალო**

**ყოველგვარ ავადმყოფთათვის**

**ექიმ ი. გ. მჭედლიშვილის და დ. გ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროხინი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროხინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ ავადმყოფების მიღება—სალამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

[illegible]

**ჯალანდარიშვ[illegible]**

უფროსი ექიმი თბ. კადე[illegible] პუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქი[illegible] სნეულებიან ავადმყოფებს [illegible] დილის 8—9-მდე სალამ[illegible] ტელეფ. № 17—2[illegible]